

# ლიტერატურული გაზეთი



№13 (269) 3 - 16 ივლისი 2020

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



სოფო წულაია

## გვირდებლამსკლარი გადასაფარებელი

ჩემს ძმასთან პირველი შეხვედრა მახსოვს —  
შალის სქელ თავშალში, თუ გადასაფარებელში იყო გახვეული და ლოგინზე იწვა.  
საჩუქარს ჰგავდა — ჭრაჭუნა, ფერად ქალაღში შეფუთულს;  
თითქმის სამი წლის ვიყავი და როცა ამ მოგონებაზე ვყვები, ვერაფერ იჯერებს.  
დედა სულ მეუბნებოდა, მაგ გადასაფარებელში არ გავახვევდით,  
ავვისტოს ხვატში შალის გადასაფარებელში როგორ გავახვევდით, რალაც გეშლებოა.  
არადა ჯიუტად მახსოვს — ლოგინზე იწვა,  
ზუსტად იმ და არავითარ შემთხვევაში სხვა გადასაფარებელში გახვეული.  
გადმოცემით ვიცი, რომ ეს თოხლოკვერცხისგულისფერი ნივთი ჯერ ჩემი იყო.  
ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი შავ-თეთრი ბავშვობიდან მხოლოდ მისი ჩამქრალი ყვითელი ანათებს  
და გაცრეცილი კიდევებით დახუჭობანას მეთამაშება;  
მახსოვს, როგორ მქონდა მხრებზე მოგდებული ზუგდიდი-თბილისის საბარგო მატარებელში.  
1993 წლის ნოემბერი იყო.  
სოხუმიდან გამოღწეულები ფევილის ტომრებთან ერთად ზუგდიდიდან თბილისისკენ მოვდიოდით —  
კი არ მოვდიოდით, მოვლასლასებდით  
და მე ოდნავაც არ მცოდნა,  
იმიტომ, რომ მხრებზე გადასაფარებელი მაჯდა  
— ზუსტად ისე, როგორც მერე, უკვე ძალიან დიდმა, ჩემი ბავშვობა შემოვისვი  
და როგორც კი შანსი მომეცემოდა, ყველას ვუჩვენებდი —  
თითქოს ბრძოლის ველზე მიღებული პირგადაფრენილი იარები იყო,  
და თითქოს სხვების წინაშე თავს ვინონებდი მათი არსებობით.  
როცა ნანატრი შვილი მეყოლა,  
გადავწყვიტე, ისიც ჩემს თავშალში გამეხვია  
და ბავშვობის ყველაზე ფერადი მოგონების წამოსაღებად ჩემს ძველ სახლს ვესტუმრე.  
ჩემს არყოფნაში გადასაფარებელი კიდევ უფრო გაფერმკრთალებულიყო,  
კიდევ უფრო შესამჩნევად შემოცრეცოდა.  
ჩემს 91 წლის ბებოს მუხლებზე ჰქონდა მოხვეული,  
მე კი ვთხოვე, მოეხსნა და ჩემი შვილისთვის დაეთმო;  
და ბებომ, რომელიც ჩემს შვილზე ყოველთვის ოცნებობდა  
და ისე არ უნდოდა, მომკვდარიყო, სანამ ჩემს ბიჭს (და არა გოგოს) გულზე მაგრად არ მიირქვამდა,  
მითხრა, რომ ეს „ადიალა“ მისი ნაყიდა,  
რომ ჯერ კიდევ მაშინ მიყიდა, როცა დედაჩემი ჩემზე ორსულად იყო  
და მე მისით უკვე საკმარისად ვისარგებლე,  
ახლა კი მისი ჯერია.  
— თეშ უმშო მუთუნით ვებრგუე. — მითხრა მეგრულად  
და გადასაფარებელი გულზე მთელი ძალით მიირქვა.  
გამოვდიოდი ჩემი ბავშვობის სახლიდან,  
როგორც ძნელადდასავინყებელი, მაგრამ მაინც აუცილებლად დასავინყებელი წარსულიდან  
და ხმამაღლა ვტიროდი იმის გამო, რომ ბებომ,  
რომელიც ჩემთვის სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდა,  
ჩემი ერთადერთი ნანატრი შვილისთვის გაძვალტყავებული,  
კიდევდამსკლარი გადასაფარებელიც კი ვერ გაიმეტა.  
რა ვიცი, იქნებ შეეშინდა, ჩემი ბავშვობა ან უიღბლობა ჩემს ბიჭსაც არ გადასდებოდა,  
ან იქნებ პატარა მესთან გამომშვიდობება არ უნდოდა?..  
ბებოს მეგრული სიტყვები კი ნიშნავს: „ამის გარეშე ვერაფრით გავძლებ“.


VIII-IX

## ეთერ თათარაიძე

\*\*\*

ჰო, მეაც ი'მ ჩიტს ვღგევარ,  
მდუმარ ბაღში რო გალობს  
გულამოგლეჯილ.  
დაყრუებულ სოფელში  
მეაც ლექსით ვიკურნებ  
გულამოფლეთილ.  
ყურის მგდებელ გამწყდარ' თვარ...

IV-V





„ჩვენ დიდხანი შევწყვიტეთ სიყვარულზე საოხარ...“  
ეთერო

პარასკეიმბიტი მზეყანასთან ვიკრიბებით და წრეზე ვსხდებით. მტევნებს ვაბრუნებთ, მაჯებს მუხლებს ვაბჯენთ და ჩვენს ამბებს ვყვებით. ხელების ამობრუნება ჩიტბატონამ გვასწავლა მეტი გულწრფელობისთვის და პირველსავე სეანსიდან დაგვტოვა, არ შემიძლია, ვერ გაუძღვებო. მომდევნო შეხვედრის შემდეგ მოლაღურის და ზარნაშოს სკამებიც ამოვაკელით და წრე უფრო დაპატარავდა. დავრჩით შვიდნი: მზეყანა, უფეხურა, მენაპირე, ბოლოცეცხლა, გარიელი, ჩიბუხელა და გულწითელა.

მათ შორის ყველაზე უფროსი — გარიელი — 57 წლისაა, ჩიბუხელა კი ჯერ 24-ისაც არ არის და ხშირად ჩივის, ლაპარაკი ძალას მაცლის და მადას მიკარგავსო. საუბარს დიქტოფონზე ვინერ, შაბათობით ვშიფრავ და მცირე ჩანაწერებს ჩიტებს ვუგზავნი — სწორად გამოვიტანე თუ არა ამბავი მათი მონაყოლიდან. წინასწარ ყველამ იცის, რომ ბოლოს ტექსტები ორას სიტყვამდე დაინურება, მაგრამ მაინც ვრცლად ვყვებიან და ერთი შეხედვით უმნიშვნელო წერილმანებზეც დიდხანს საუბრობენ. მთავარ ფრაზებსა და სიტყვებს ბლოკნოტში მაშინვე ვინიშნავ, რადგან ცხელი გული და ცივი გონება ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვაგვარად აღიქვამს.

ეს ბოლო ჯგუფია. წლის დასაწყისში პირველ მერცხლებთან საუბრისას ბლოკნოტში სიტყვა „ჩანაწერი“ შეცდომით დავინწყე, მერე „ჩან“ გადასახაზად დამენანა, ხელს მივყევი და „ჩანერიკო“ გამოვიდა. ახლა ჩემს დავთარში ოთხმოცამდე ჩანერიკოა, რომლებსაც წლის ბოლოს ერთ ნიგნად შევკრებ და ფოტოებსაც დავურთავ. საყვარელ კაბებს ჩავიცვამთ, ჩიტების თავებს გამოვიბამთ და შორეულ სივრცეს მივანვდენთ მზერას, ისე, როგორც ძველ, სალონურ ფოტოებშია. კრებულის სათაური ჯერ არ ვიცი, მაგრამ არ ვდარდობ — ბოლოს რომელიმე ამბიდან ამოანათებს.

წიგნის მივიწყებული იდეა გონებაში მაშინ ამომიტივტივდა, როდესაც შარშან სექტემბრის ბოლოს გერმანელი ორნითოლოგების ექსპედიციას გავეყევი გონიოში. მდინარე ჭოროხისა და შავი ზღვის შესაყართან ტელსკოპებითა და ფოტოკამერებით ჩასაფრებულებმა გადამფრენი ფრინველების თვალთვალისას ეგვიპტური უფეხურა ჩვენთან პირველად ნახეს და ბევრი ფოტოც გადაუღეს, ვინ იცის, კიდევ როდის შევხვდებითო.

ბათუმი-თბილისის მატარებელში უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული კრებული სწორედ ჩიტების მონათხრობით ამეკინძა. ოღონდ ეს უნდა ყოფილიყო არა პირველი ან უკანასკნელი, არამედ ძნელად მოსაყოლი, მოუხელთებელი სიყვარულის ამბები, რომლისგანაც, შესაძლოა, მხოლოდ მინაზე არეკლილი სილუეტი, ლოცვის ტექსტი ან პიტნის სუნი შეგრჩეს თითებზე და მეტი არაფერი.

ქალების დათანხმება არ გამჭირვებია, თითო ჯგუფთან სამი შეხვედრა იყო საჭირო, რომ უცნობ ადამიანებთან უკეთ ვახსნილიყვნენ. პირველი შეკრება გაცნობისა იყო — ჩაის ვსვამდით და ათას რამეზე ვსაუბრობდით გარდა იმისა, რის გამოც შევიკრიბეთ. შემდეგ ჯერზე ყველა მთხრობელი ზარდახმიდან ოთხად გაკეცილ პანია ფურცელს იღებდა და როგორც ჩიტი, ისე გვეცნობოდა. გარდასახვისთვის საკმარისი იყო, დაწერილი სიტყვა ხმამალა ნაეკითხათ — წარსულზე ფიქრს მზერით აუდევნებოდნენ, ჭერის კუთხეში მოიმწყვდევდნენ და შეურჩენელი სიყვარულის ამბის მოყოლას იწყებდნენ. ბოლო შეხვედრაზე იმავეს უფრო ვაბეზულებდით, გზნებით და ვრცლად ვყვებოდნენ, ახალ დეტალებს ამატებდნენ და ჩემი ჩანაწერებიც სტრიქონებს შორის ფრაზებით ივსებოდა. ყველამ თავიდანვე იცოდა, რომ გულწითელა ამბების შემკრები იქნებოდა და შეხვედრების დროს მე მხოლოდ მათ მოვუსმენდი, რადგან ავტორებს, პერსონაჟებისგან განსხვავებით, უფლება აქვთ საკუთარი ამბები არ გათქვან.

\*\*\*

დილით ჩემი ძველი და განუყრელი საფულე მენალესთან ნავილე შესაკეთე-

ბლად, ხანდახან ხურდას აპარებს და ნაკერი აქვს გასახლებელი. მინისქვეშა გადასასვლელში რამდენიმე საქმის ერთად მოთავება შეიძლება — დაიდგინო ზუსტი ნონა, შეაკეთებინო გაფუჭებული ნივთები, შეიძინო წვრილმანები, გამოარკვიო ქვეყნის ამბები და ყოვლისშემძლე მოვაჭრეთაგან გაიგო მაგიური ფრაზა — „არ მაქვს, მაგრამ მოგიტან“.

აქ ყველაფერი უფრო იაფია, მაგრამ დღესასწაულს ყველგან ერთი ფასი აქვს. დახლები უკვე პატარა ნაძვის ხეებით, მანათობელი გირლანდებით და ბრწყინვალა ბურთებით დაემშვენებინათ. საახალწლო მოსართავეებს იქაურობა უხმო ხალისით და საამო მოლოდინით აევსო. მენალემ, რამე არ გვაფუჭო, გზაჯვარედინთან რომ ძველი ატელია, იქ გაგიკეთებენ, არ დაგეზაროს, არეგი იკითხეო. რალა უნდა გაეფუჭებინა, მაგრამ ოქროსფერი ნიშნის გამო დაფრთხა. ყალბია-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ მე ხომ ვარ ნაღდიო, უკან დამიბრუნა.

რუსუდან რუხაძე

სიყვარულის წონა



ძველი ატელიეს მიგნება არ გამჭირვებია, ადრეც ვყოფილვარ შარვლის გადასაკეთებლად. მოხუცი ოსტატების სამუშაო მაგიდებთან ჟურნალებიდან ამოჭრილი გოგონების ფოტოები გამქარალიყო. სამაგიეროდ ყველაზე გამოსაჩენ ადგილას წასული კაცის ფოტო გაეკრათ, სადაც ის კი არ ხელსაქმობდა, არამედ ღვინოს სვამდა, ცხოვრება ჩირად არ უღირდა და იქიდან ამქარს სევდას უქარვებდა. არეგმა ხუთ წუთში უკან დამიბრუნა შეკეთებული საფულე, ნაღდია თუ არა, სუნზე ვხვდებო და თვალს ჩამიკრა.

მერე ქუჩის ბოლოს ნაცნობ კაფეში შევიარე ყავის დასალევად და უცნობ მიმტანს ვკითხე, როგორ იმასსოვრებდა შეკვეთას ჩანერის გარეშე. წერას ვერ ვიტანო, ღიმილით მიპასუხა.

- კარგი, მაშინ კაპუჩინო, თუ შეიძლება, შოკოლადით და დარიჩინით.
- საუზმის მენიუდან მაფინი, ბრეცელი ან კრუასანი მოყვება.
- მადლობა, მარტო ყავა მინდა.
- არ შეიძლება, რამე უნდა აირჩიოთ.
- რატომ?
- გამოვწერი უკვე, ვეღარ გავაუქმებ.
- როდის მოასწარი? რა ვიცი, რომელი გითხრათ...

— კარგი ბრეცელია, სეზამის მარცვლებით.

— კრუასანი თუ ბრეცელი, რას მირჩევთ?

- გემრიელი ბრეცელია, დამიჯერეთ.
- კარგი, იყოს ბრეცელი.

სანამ ყავას მომიტანდა, ჩანთაში ჩაყრილი პლასტიკური ბარათები ისევე საფულის ჯიბეებში ჩავალაგე. მობილურის ეკრანზე შეტყობინება ამოანათა. ტურაკო მწერდა ნინა ჯგუფიდან, იქნებ კიდევ გადაამახედო, მგონი, რაღაცები ავურეიო. სულ აღარ

მახსოვდა ეს ამბავი, გულსაც დავინყებული ჰქონია, ეს რა მიქენი, გამახსენდება და თეთრად ვათენებ ღამეებს, თავი ახლაც საძილედ მიკვდებო. საღამოს გადმოგიგზავნი-მეთქი, დავიბრდი და ჩემკენ მომავალ ხელცარიელ მიმტანს გავხედე.

- სამწუხაროდ, არ გვაქვს ბრეცელი.
- კარგი, მარტო ყავა იყოს.
- ხომ გითხარით, არ შეიძლება, რამე უნდა აირჩიოთ.
- რა გაენყობა, იყოს მაფინი.
- მაფინებს ახლა აცხობენ და ათ წუთში იქნება, თუ არ გეჩქარებათ.
- ღმერთო, მხოლოდ ყავა მომიტანეთ, თუ შეიძლება.
- გასაგებია, ესე იგი, კრუასანთან ერთად.

კრუასანი გარდაუვალი მენიუდან კარამელის კრემით აღმოჩნდა, საუზმე დამძიმდა და შაბათის სიმსუბუქეც გადაიყოლა. რახან პირველი პირობა დავარღვიე, დღის გეგმებიც ამერია და ისევე

\*\*\*  
ჩანერიკო N73, მზეყანა

„არც არაფერი ყოფილა. დილით ადრე მეტროთი მივდიოდი სამსახურში. ჩვენს გაჩერებაზე ნაკლებად, მაგრამ მერე იმატებს ხოლმე ხალხი და ატყდება ჭყლეტა-ჯგლეტა. თავჩალუნული ვიჯექი, ჩემს ფიქრებსა და დარდებში გართული. უძინარი ვიყავი და ვიფიქრე, ვინმე ისეთი არ დამემგზავროს, ადგილის დათმობა მომიწიოს-მეთქი. სადგურში როგორც კი შევედით, შემოცვივდა ხალხი და გაივსო ვაგონი. ერთი კაცი დამადგა თავზე. მინისფერი შარვალი ეცვა და ხელში პორტფული ეჭირა, განათლებული კაცი ჩანდა, ასე, ორმოცდაათი წლისა. პატარა გოგო არც მე ვიყავი. დროდადრო ხმას ჩაინმენდდა, თითქოს რალაცის თქმა უნდაო და ჩანთას მაგრად მოუჭერდა ხოლმე ხელს. ხმელი მტვეანი ჰქონდა, ძარღვებდაბერილი, სხივებამომჯდარი. ცდილობდა, ფეხი გაემარებინა და ძალიან არ შევეწუხებინე, მაგრამ სადაც ლინდაგი მრუდდებოდა, მოკრძალებულად გადმოიხრებოდა ხოლმე ჩემკენ. გვირბიში როგორც კი შევედით და მინები ჩამოქედა, ფანჯარას გავხედე, ანარეკლი რომ დამენახა. თავჩაქინდრული იდგა. ვიფიქრე, მე დამყურებს-მეთქი და ხელები მუშტებად შევკარი, საქმისაგან გალყული ფრჩხილები რომ არ შეემჩნია. განა რამდენი უნდა ამ ქალაქში ოთხი გაჩერების გავლას, სულ ათი წუთის ამბავი იყო, მაგრამ მგონია, სიყვარულით სავსე გავუშვი, იმანაც მარტოხელა გულის სამყოფი სითბო დამიტოვა. თვალის კი არ გამიყოლებია, თითქოს იმედგაცრუების შემეშინდა. ან კი რამ დამამიძედა იმ რამდენიმე წუთში. ხშირად მიფიქრია, წუთუ უნდა გავდევნებოდი და მეთქვა, აქამდე სად იყავი ან ახლა უჩემოდ სად მიდიხარ-მეთქი. რა ვიცი, ეგრეც ხომ ხდება ხოლმე კინოებში. გითხარით, არც არაფერი ყოფილა-მეთქი. სინამდვილეში, არც კი მინახავს. მკითხეთ და მომაგონდა.“

ჩანერიკო N74, უფეხურა

„სულ სამი თვით იყო ჩამოსული — ხან ვთარჯიმნობდი, ხანაც საჭირო ხალხის მოძებნაში ვეხმარებოდი. დღის დიდ ნაწილს ერთად ვატარებდით. თბილისში ნამყოფი მეგობრების რჩევას მიენდო და ერთი რესტორანი ამოიჩემა, ძირითადად, იქ ვსადილობდით ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ საქმის იქით სიტყვას არ იტყვოდა, მასთან ყოველი შეხვედრა ჰაემანს ემსგავსებოდა. ამის მთავარი მიზეზი კი სუნი იყო — მაცოცხლებელი არომატი, რომლის შეგრძნებაც საყვარელი კერძის მორთმევის შემდეგაც განუზავებლად შემეძლო. მაშინ იმ სუნმა ანწყოს ცხადი შეგრძნება დამიბრუნა, ახლა კი სადმე მსუბუქადაც რომ შევიგრძნო, მხოლოდ წარსული გამახსენდება. ის სუნი არ იყო მძაფრი და მწველი — უფრო გამაბრუებელი და დამთმობი. თვალეში რომ დამეხუჭა, მის სქესსაც ვერ გეტყვოდი. სიყვარულის უცხო არომატმა განუცდელი სიხარულით ამავესო. როდესაც სხვებს ვხვდებოდით, შეჩვეული სუნი წამიერად გამებნეოდა ხოლმე, თავის მსუბუქი მოძრაობით ჰაერს ღრმად ჩავსუნთქავდი და ნაცნობ ოდორანტებს ყნოსვით ავედევნებოდი. ერთ დღესაც სადილის შემდეგ ტურის კუთხეები გახამებული ხელსახოცით მოიწმინდა და გამოაცხადა, რომ რალაც შეიცვალა, საქმე იმაზე მეტი იყო, ვიდრე შეთანხმდნენ და წასვლას აპირებდა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ტირილი ვერ შევიკავე და იქვე ავზღუქუწი. ვიცრუე, შაკიკის შეტევა მაქვს და ტკივილს ვეღარ გავუძელი-მეთქი. მეტი არაფერი მითქვამს — ვიფიქრე, ნავა და ყველაფერს თავდაც კარგად მიხვდებო-მეთქი. ერთი თვის თავზე უცნობმა კაცმა დამირეკა, თქვენთვის ამანათი მაქვსო — კაიროდან ბედუნიებთან ნაყიდი პიტნის ეთერი გამოუგზავნია. შაკიკის წამალი, გესმით? სტივენი ერქვა, ჩანერეთ!“

\*\*\*  
გამომცემლობაში მივდივარ, დიზაინერს უნდა შევხვდე. ძირითადი მონახაზი უკვე მზად მაქვს. ვიცი, ალბომი როგორ უნდა აეწყოს და გაფორმდეს. რადგან ძველი, თითქოს მივიწყებული ამბების კრებულია, ალბათ ფერებიც უფრო ვინტაჟური მოუხდება. სანიშნეების სერიაც ცხადად



წარმომადგენელი და პრეზენტაციის მოსა-

წვევებიც. მხოლოდ ის ვერ გადაინწყვე-

ოლონდ არ დამაგვიანდეს და ყველგან

გამომცემლის კაბინეტის კარი ზუსტად

ათასში ერთხელ კაცს რომ ნახავ, ალბ-

— მირიან, მოიცლი ჩვენთვის? — მოკ-

— მობრძანდით! — ფეხზე წამოდგა ხმე-

— გაიცანი, ნანა, ნანიკო უზნაძე. წიგნ-

— გამარჯობა, ჩვენ, მგონი, ვიცნობთ

— დიახ, დიახ, ასეა, — მოულოდნელო-

— მაშ, მე რაღა საჭირო ვარ, მიხედეთ

— ღმერთო ჩემო, აქ ნამდვილად არ

— დიდი ხანია. აღარ იყო გადაღებები

— მშვენიერი. ახლა წიგნზე ერთად ვი-

— რამდენი ფოტოა? — ფანქარი

— ოთხმოცამდე... ჰო, ასე იქნება, —

— კარგი. რამდენიმე წიგნს გაგატან და

სხვადასხვა ფორმატის გამოცემა გადმ-

— მშვენიერი. ქალაღი? ფურცლის

— შენ ახლა ათასი კითხვა გაგიჩნდება.

— იცი, იმის მერე იქით აღარც ვყოფი-

— მე მინდევ ხოლმე, ძირითადად, კონ-

— მობილურში ჩემი გადაღებული ფოტო

— მშვენიერია! მთავარია, შენ გიცანი

— ჰო, ქუჩაში ალბათ დაძახება და თა-



და, — კიდევ ერთხელ ჩამოვართვი ხელი.

— რა თავის შესხენება?! შენი დაც მახ-

— დაახლოებით, — აღარ შემისწორებ-

— ჩანანერში, ლოცვის ტექსტში მესამე ქა-

— დილის წინ წიგნში შენახული სავიზიტო

ბარათი ამოვიღე. ციფრები, რომელთა ათ-

— კი მითვებია, საერთოდ არ ენათესავებო-

— ნების წინ ჩემს წარმოსახვაში მოთა-

— ასე მიმინერა ბარათზე, რომელიც ახლა ჩემს

— საფულეში ფიტნისის ინსტრუქტორის, სტ-

— კი მითვებია, საერთოდ არ ენათესავებო-

— ნების წინ ჩემს წარმოსახვაში მოთა-

— ასე მიმინერა ბარათზე, რომელიც ახლა ჩემს

— საფულეში ფიტნისის ინსტრუქტორის, სტ-

— კი მითვებია, საერთოდ არ ენათესავებო-

— ნების წინ ჩემს წარმოსახვაში მოთა-

— ასე მიმინერა ბარათზე, რომელიც ახლა ჩემს

— საფულეში ფიტნისის ინსტრუქტორის, სტ-

ცამ ჩაის კოფი ნაგავს გააყოლა, ცხოვრე-



გონება მოვახერხეთ და მეტი სიახლოვე

აქაც ვერ გავხედეთ."

ჩანერიკო N76, ბოლოცეცხლა

„დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

— დარდი რომ შემომანებება, ახალ საყუ-

ადმინისტრატორმა დედას პასპორტი და-

სასადილოსთან ჟრიაშილი ისმოდა, კა-

— დედა მენიუთი კმაყოფილი დარჩა, რაც

სასაიმოვნო დასვენების მთავარი პირობა

იყო. დესერტი თავად შეგვირჩია და მიმ-

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი


— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი

— ბევრი არ უფიქრია, ლანგრიტი ჩვენი





ეთერ თათარაიძე

\*\*\*

ჯერ არ, ჯერ არ, უფალო,  
ჯერ ბევრ მაქვის საკეთებ,  
ჯერ ახლა' მაქვ განამზად  
სიტყვის საწინს-საკვეთელ.

ჯერ არ, ჯერ ნუ, უფალო,  
სიტყვის საყდარს ვაშენებ,  
შიგ მთელ საქართველო შევ,  
სიტყვის მირონს ვანვეთებ.

ჯერ ნუ, ჯერ ნუ, უფალო,  
სიტყვას ტაძარს ვაძერწვევ.

\*\*\*

მზეიც დავლაღეთ, ეტყობ,  
ლონელულ ამოვდ,  
აეს ასწლოვან იფნის ხეა  
ნელში დრეკით ჩამოვმ.

ეკლესიამ დულაბმყარმ  
ნატკიენ კედლებ ჩამოფხენ.

რა დავქანცეთ სამზეო, —  
სინანულით ამოვთქვ...

\*\*\*

ერთ ნამცეც გულ რა'ს გი'ძლებს  
დუ'სვენარა' ცემას,  
არ დი'ლაღე, ცქნაფ შაშვო,  
დილითაივ სტვენას...

ხანთხან ჩაჩუმდ, ჩამი'ძინ,  
ყურ დუ'გდ ალაღ რჩევას,  
ხანაც ახყევ ნიავის  
უძალოა' რწევას...

არ, არ, ყურს არას მიგდებ,  
ვერ სთმობ რჯულსად ჩვევას,  
გან მემღერებავ ვმღერივ, —  
ანვრილა'ებ სტვენას...

\*\*\*

თვალშესწრებას ვერ ასწრებ,  
იგრ გარბიან დღეებს..

\*\*\*

ჰო, სიჯეილე გვეყრებ,  
რა'გვერც შემოდგომაზე  
ხე გახყრის ფოთოლს..

\*\*\*

ჯუთას ჩვენ ღვთიურ ქალა'  
ახლ ჯოჯოხეთს დანაფერ...

\*\*\*

რა' მოხვდ ჩემ ჯან-ლონეში,  
რა' მეხ-ჭექვამ იელვ...

\*\*\*

ყორეებში ყვავილებ,  
ყავრეებზე ყვავებ...

\*\*\*

მეაც დიდ ხანი დავინყ  
ლექსის სანთელთ ჩამოქნა...

\*\*\*

ვივლითა-დ გადავივლით  
რა'გვერც ცაზე ნისლებ...

\*\*\*

მიდისა-დ ნავ სამზეოა,  
წინავეც ავგ მიდენილ,  
ეგ ვერავის ნაჩერ...

\*\*\*

მტრობს ჯორც სულს ი'გრ რა'გვერც რო  
მგელ თავისუფამ ბატკანს...

\*\*\*

წმელ ფოთლისფერ თბილისს თავზე  
დახფრინავს მტრედ...

\*\*\*

ლექსის მტვენებ ვწურ უძირო ქვევრში,  
ბადავ აკვდებოდ გამომშრალ კედლებს...

\*\*\*

ცას დაკიდებულ ცალ მასკვლავს ვღგვევარ,  
კიდენ მომივიდ დაჩვეულ არ ძილ...

\*\*\*

გადამტკნარებულ ყაყაჩობით  
ცეცხლ მოხკიდები უფერო დღეებს.

\*\*\*

ბაღების ჟოყინ-დახოდგრილით  
შაკიკ დაღმართვი' თავებ სტკივ დღეებს...

\*\*\*

არწივის მწარ-ბეჭ ხქონდავ,  
ჯარ-ირმის ყვირილივ,  
იმის სიკვიდილ მომწვდავ,  
რო გველის წივილივ...

\*\*\*

რა ღონერთმულს მომისწარ,  
მზემონამცქერევ დილაო...

\*\*\*

ფთებსველ წეროა რა'გვერც ცას,  
ლონელებულ მინას ვღგლი...

\*\*\*

ცას მოალივ,-გულგლეჯით, —  
ლურჯ ცას ავზძახ სულმწყვედულმ,  
„ყველას უფალ ანესსავ,“ —  
ცით ჯმა ჩამომწვდ ნისლხვეულ.

\*\*\*

მტვრადგაყრილ გულმ ბრავანით  
მაინც ამოგვითენდავ,  
გულამოსკვნით ამომგმინ...

\*\*\*

რადამ მინა არ შემჭამს,  
სამზეოიმ რადაღ მღლის,  
როდიმდელ ჩინს მიღვს,  
როდიმდელ მთელავს, მგლის.

\*\*\*

გეუბენი-დ რაიმ ხარ, ქალო, აქთა ლოდისაა,  
იჯედ მიმედ, იმედით: დაიცალავ, მოდისავ.  
არავინაც არ მოიდ, ქვისას სწევხარ ლოგინსავ,  
აიმედებ უაზროდ შენ მოგონილ ლოდინსავ.

\*\*\*

რა ავადაა ქვეყანაა,  
რა ავადაა ხალხ,  
რა ავადა სამზეოა,  
დახვ-მოხვევი თალხ...

\*\*\*

ჩიტმ რო ნისკარტით,  
ი'სრ ვზიდ  
ჩემ საბუდრის წკირებ...

\*\*\*

დრო მიდის, კი არ მიდის, —  
უქვე წასულ, გაპარულ...

\*\*\*

ვფიქრობ, ვფიქრობ, ვფიქრობა-დ  
ფიქრს ბოლო არ უჩინს...

\*\*\*

„მარტო მე ვიყოვ კარგავ,  
ცხვათავ ჭირ მომჭამონავ“...  
ჯერ ფონს ვერვინ გასულ...

\*\*\*

პირისქარ გამაშლევი, —  
შემოსაჩივლ გამიბვერდ...

\*\*\*

ქურდ ქისტსავით ჩასაფრებულ სიბერეო,  
ცქრიატსავით მომსვლელო ჩქარო,  
თმაში თვირთვილ-ჭირხლის უხვად დამთოვა'ო,  
ლონე წართმის, უღონობის ჩქამო...

\*\*\*

მოდის კმელ-კმისს გასადგმელ  
უღონკრობის ჟამ,  
მოდის ძვალსაჭრაჭუნო,  
განატეხარ ჯან.

„უდუმალ“ ცრემლით იმსვენ  
ჭოჩხს ჩანადგამ ჯამ.

\*\*\*

— ჩემ ბერდედო, რა'გვერ ხარ?  
— ლიტაო ხედ ვშჩრვიარ!  
— ბებო, დაჩუმდ, დაჩუმდ...

\*\*\*

შიშის ჟირჟოლ დამივლის  
დროის უღლელ დენაზე...

\*\*\*

თოვს, ბუილით აზენრებს  
ფერშენამირღვ მინას...



\*\*\*  
ამოწედიტ დარბაზით  
„ნიქოკელის“ მროკველნო...

სიბერისკ რო მიინევს,  
იმას ველარ ეგონებ.

ყველა ახალ ბუდეს ღობს,  
მე რად უფრო მენატრებ,  
დანახავსარ კერა'ო?

\*\*\*  
დარდის კუნძად ნაქცევ ვძევარ,  
ამოდა' ცეცხლ მიკიდავ.

\*\*\*  
რა საკვირელ ჯერჯ გცოდნი  
მისატყუა' მიწაო...

\*\*\*  
წლებს წყლად სცოდნი ქცევაი-დ  
წყალთფრად სცოდნი დენა,  
წყალთსავით ჩუმ პარვაი-დ  
ადიდება-მდგვლევა.  
წყალთებრ უთვლელ სადარდლის  
სიხარულის ვლევა,  
წყალთებრ აღვარცოფება,  
მემრ ჩანრეტა, თვლემა.

\*\*\*  
ლამე ბერდედას ღვანდა-დ  
ბერდედა ღვანდა ღამეს.

\*\*\*  
რა საგონს ხარ გარეულ,  
მინისკ პირქნილ ყორეო?..

\*\*\*  
ალარსიის იმედი'ს  
მოლოდინიდ ქონაო,  
შენაც, შორს გადასულო,  
ჩემ სადარდლის მფონავო,  
გულ ბურუსში მხვევარო,  
დროო, უფრო მფონავო,

\*\*\*  
სიკვდილისფერ ახვიავ  
ნახავსისფერ ხეებს,  
ოქრო ნა'ქვად ჩალა მა'ქვ  
სისუშესულ დღეებს.

\*\*\*  
ქობაქურის ქობიან  
ნაცვეთ კაბა მეფარის,  
ვაი-შავდლით ნაშოარ  
კოჭიანებ მეჭადის,  
სილარიბის იელ-ბიელ  
კა მგზავრსავით მეტანის,  
მაინც კი შინ ვერა დავდგიდ,  
ტაშ-ტირილა' მენადის.

არა'ის მოლოდინო,  
ჩემდ სილალე მშორავო,  
ნამრუმალა' ყვავილთა  
დიდ თაიგულ მკონავო...

\*\*\*  
მზე რო ჩავლისავ,  
ჩამიყოლისამცევ...

\*\*\*  
ი'მ ცხვათ ნაცვეთ სამოსშიამ  
ლიმილ რა'გვერ მეკარის,  
გავიდიდიდ აგრ მხედინ:  
მთვარეს ღვავავ მესამის.

\*\*\*  
ადვილადამც მათქმევი,  
რა'ის თქმაიც ძნელი,  
სხივებითამც მამარმამ,  
რა'იც უთენებია-დ  
მრუმეიად ბნელი.

\*\*\*  
თვალმც დუ'დგებ სიბერეს,  
თვალთ სინათის მოკლებას.

\*\*\*  
„გყვანდესთაოდ აღარ გყვანანთავ,  
ვისაც არ ხყვანანავ, არც ეწოცებინანავ“.  
ჩემ-ბერდედა

მათქმევიამც, სანუთრო  
რა'გვერითა' მზაკვარა-დ  
ყელს მხვევ, ცივ, მხრჩობ გველი.

\*\*\*  
ალარსი გძელ აივან,  
ცივ-ცივ მარნის ღვინით,  
აღარც წელში გადრეკილ  
ოსე პაპის ღიმილ.

სახეს ტკივილის აღნასმულ, შვილმკვდარ თუშის დია'ც  
შებრუნდებად უშვილძროს ეტყვის:  
„ჩვენამ შენთან რა' გვეთქმის.  
იჩივლ შენ რო სიზმარშიაც ვერ ღნახ ღვიძლ შვილ,  
„დედოვ“ არვინ გეტყვის...  
ჩვენ გყვანდესა-დ აღარ გყვანან,  
სიკვდილისა ნატეხა' მოგვხვდ, სეტყვის...“  
მემრ უშვილო თუშის დია'ც შებრუნდება'დ  
ცას ახედავს, ღმერთს სამდურავს ეტყვის...  
გარეე მოდის შვილმკვდარ დედის იღუმალ ჳმა:  
„ჩვენ შენთან რა' გვეთქმის“.

მათქმევიამ ადვილად  
სიცოცხლე რო წუთისი,  
მინაიად მტვერი.

\*\*\*  
ევე, ყველაფერ რო გიამბვ,  
რა'იც გულზე გადამვლი,  
ცხრა სიცოცხლე არ მეყოფ...

ადვილადამ მათქმევი,  
ძნელ როა ამოთქმაი-დ  
კაც რო თავის მტერიი...

\*\*\*  
არა, დი'შინვ თუ გეკარგვ,  
საიქიოს შევხვდებით...

\*\*\*  
— ნელ-ნელა მწრებს იჭუჭკავს —  
საიმსოფლოდ ემზადებ,  
მხედველობა ნამეჩხრალ  
თვალბრმა ფრინველს ემგვანებ.

\*\*\*  
ეე, რა უჭკო დგანდგარი,  
რა უგონო თქან-თქარ,  
ერთ დროს მინისკ მოგვინდებ —  
სუც არ ნადინს თხართხარ.

\*\*\*  
მეად ჩემ კატა ვსხედვართ  
ღილით წუხრამდ ყუდროზე...

მთელა დღეებ ნამდურალ —  
ხანთხან ძველ დროს გე'ტანებ,  
ხან წასულს გვირგვინს ადგამს —  
ხან გე'გველებ-გე'მჭყალებ.

პირდაღებულ დაგხვდებ —  
მლოდნ სამარე გამთხრალ...

\*\*\*  
ეკლის ბუდეს თანთანა'  
ყინულ ეფევ შიგითა...

ხანთხან ჩანაფერულ არც ჩინს —  
ხან ნაფოფრ ღომს დე'მგვანებ,  
ხან ფარ-წმალ ყრილ დარჩების,  
ხან სიკვდილს მზად გე'მზადებ.

\*\*\*  
ნუ დამჯდარხარი-დ აწყობ  
სახვალის დავთრებს,  
არ ზძინავის გულღრძობებს,  
ემშაკად ქნილ აფთრებს.

\*\*\*  
მომიდიან დარდები-დ  
იშლების შავ ვარდებ,  
ეფინების მთა-წვერებს  
წვიმის მდუმარ ფარდებ...

— ცხვა ვინ ღრევი ღრძუე სიკვდილს?  
ფესეც ერთ დღეს გე'მგზავრებ.

მოვად ქარა-მტვრად გაგყრის,  
ცხენის ძუით გათრევის,  
სულს ამოგჭდის წამებით,  
„ვაიმეე“ არ გათქმევს...

\*\*\*  
განამ ვერ იც, რა'იცაა  
დალონების მიზეზ...

\*\*\*  
ფეფე მაწსონს აფოფრილ,  
დადიოდის მთვარეულ,  
ძველის-ძველის მიმდევარ,  
ახალ იმიზდ მხალეულ.

\*\*\*  
ჭრელი-დ მირღვე ამბებით  
სამზეოი ნაკემს,  
ხან გულთა ბადაგ გსხმი,  
ხან ჳმა გდენი ნაკენს.  
ერთ დროს მინას ღრევიხარ,  
ნიშანს გუ'კრავ სანყენს.

\*\*\*  
— რა'ს მეჭუჭკებ, დაზრები, ბებო ჩამოგადნეს,  
გაოფლილხარ, ზედ გშრობი, მთა-წვერ ჩამონარბევს,  
შენიმ წელით ვიმარხებ, ავს ამრიდოს უფალმად  
ცას ნისლ-ჯანლით ნუ მიმოსს, თავს ნუ ჩამომანგრევს.

უფრ ჩამეკონ-ჩამეჭუჭკე, არ დამიზრედ გამიცვიდ,  
ბებომ ჭირ დაგილიოს, ბებო ჩამოგადნეს.

\*\*\*  
ცრემლ ვაჟკაცის ვალ არ არის,  
ცრემლ ქალისი ვალ.  
სიმაგრეი ვაჟკაცის ვალ,  
ცეცხლგანაღვივ თვალ.  
ქალ ანგელოზს სატოლები,  
ღანვს რო ცრემლთ სტყვი კვალ...  
ცრემლ ვაჟკაცის ვალ არაი,  
ცრემლ ქალისი ვალ.

თქვაად ა'სრულ დანაქადნ,  
ქორნილ არვის დარეულ,  
უბე-ფარაგა'იან  
ზალო მზეს ნადარეულ.

ხალხ ნამდვილ არსს დანაბრუნ,  
ერთია' დღეე მტკნარეულ,  
ფეფე მაწსონს აფოფრილ,  
ძველ ადათით მჭკნარეულ.

\*\*\*  
ბებო მესიზმრ თავს კუჭურა დადგმულ,  
მოდიოდა-დ მოხქსოვდ რუჭღვერ წინდა'ს,  
მკლავ ხქონდ გაყრილ სანაზღია' ჩანთიზდ,  
პატარზლობას რო მენიკნიკ წმიდად.  
ფეჭზე ემოს ტანხავსისფერ ჩითებ,  
ნაფოტა'ით აძ-ჩაძონილ სუფთად,  
გულისტკივილ მკითხ, ჩემ წუხილ-დარდებ,  
თუშეთითა რად ნახვედივ ჭყრუმად.  
რად გი'ჩინე მთელ სიცოცხლის დარდივ, —  
მკითხა-დ გაბრუნდ უპასუხო, მდუმრად...  
წმა მიძახოდ: — მოგივიდავ, ქალოვ,  
ნანუხილარ ბერდედაივ მდურვად.

\*\*\*  
რა ხარბი ადამიან,  
ხვალეს რა'გვერ ელოდებ,

\*\*\*  
ყველა'ს ახლად შობა უნდ,  
მე რად ძველისკ მბრუნებ,  
სულოდ ბედისწერაო?



დასასრული

იმ ვარსკვლავებიანი ღამის მერე კიდევ ორი საღამო ვისხედით ტერასაზე, თერმოსიდან ყავას ვსვამდით და მთის ამბებს ვყვებოდით — მთამსვლელების, სალოცავების, დღეობების, ნაბდების, მდინარეების, ჩიტების, ჯიხვების. ხან ყურადღებით ვუსმენდი, ხანაც უეცრად ყურადღება გამეფანტებოდა და უადგილოდ ვიღიმოდი — ვერ ვიჯერებდი, რომ მე, რომელსაც ჯერ კიდევ უეცრად წამოზრდილი საკუთარი ცხვირის მეშინოდა, საღამოებს ბოშათა ბანაკის ყველაზე სიმპატიურ ბიჭთან ვატარებდი. რაც უფრო მეტს ვლაპარაკობდით, მით უფრო ვრწმუნდებოდა, რომ ჩვენ არ ვიყავით მთის ხალხი, მხოლოდ ტერასიდან შეგვეძლო მწვერვლებით ტკობა და ამ გეოგრაფიულ მსგავსების გამო ბარის შეხვედრებიც მიემდებოდა.

მესამე საღამოს ნისლი ჩამოწვა, ისეთი სქელი, რომ ერთმანეთის გარდა ვერაფერს ვხედავდით. თითქოს ფეხქვეშ მინა გამოგვეცალა, აღარც მწვერვლები ჩანდა და აღარც სანატორიუმი, ხის მოაჯირიც სადღაც გამქრალიყო. განმარტობისთვის სულ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა დაგვჭირდა, ხალხმრავალ ტერასაზე გავუჩინარდით და პირველი კოცნისთვის ცაში გამოვეკიდეთ. წუთი, რომელიც მესხიერებას საშუალოდ შემორჩა, იმ დღეების თანმიმდევრული აღდგენისას აკორდონის ჩავარდნილი კლავიშოვითაა. ბგერის მოულოდნელ დადუმებამდე მარიამობის პილიგრიმებზე ვლაპარაკობდით და კოცნის შემდეგაც ისე გავგარძელეთ მოხეტიალე მლოცველებზე საუბარი, თითქოს ჩვენ შორის განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. უცნაურია, მაგრამ ზაფხულის ღამის ყველაზე მძაფრ მოგონებას არც ხმა აქვს და არც გამოსახულება, მხოლოდ ყავის გემო და ტუჩების ნაზი შეხება.

გადაღებები იმ საღამოსვე დასრულდა. დილით აივნიდან რომ გავიხედე, ტელევიზიის ტრაილერები უკვე ეზოს ტოვებდნენ, მსახიობებსაც თავიანთი ზურგჩანთები ერთად მოეგროვებინათ და მოხეჯურ სიმღერას მღეროდნენ ფილმიდან. მირიანმა ხელი დამიქნია, ჩამოდიო და თვითონ კიბისკენ გამოიქცა. არ მეგონა, ამ დილითვე თუ გადავწყვეტდით წასვლას, უნდა დაგემშვიდობო, მაგრამ შევეცდები, რამდენიმე დღეში ამოვბრუნდეთ, მომეხვია და გულში დამიკრა. ის მაშინ 26 წლის იყო — თავდაჯერებული, მიმზიდველი და ვნებიანი, მე კი — მხოლოდ 16-ის, რომლის სხეულიც ის-ის იყო მორგებოდა უცხო სურვილებს.

შემოდგომაზე მივხვდი, რომ მძაფრი და მწველი სიყვარულით მიყვარდა. ქალაქში მირიანის კვალს უშედეგოდ ვეძებდი, მისი არც ტელეფონის ნომერი ვიცოდი და არც მისამართი, არც საერთო ნაცნობები გვყავდა. ფარულად გამიჯიხვებულს ისლა დამრჩენოდა, შემთხვევით შეხვედრას დავლოდებოდი და ბედისწერის მენამა — წამითაც რომ შეყოვნე, შესაძლოა, გზაჯვარედინზე ავდე და ამის შესახებ ვერც ვერასოდეს შეიტყო. ამიტომ ქუჩაში სიარულისას ხან ფეხს ავუჩქარებდი, ხან კი პირიქით — ტაატით მივუყვებოდი სკოლიდან სახლამდე გამზირს. ხან მოკლე გზებს ვირჩევდი, ხანაც შორიდან მოვუვლიდი ხოლმე ნაცნობ მისამართებს. იმასაც ხშირად წარმოვიდგენდი, რომ შორიდან მომყვებოდა და მოსვლას ვერ ბედავდა. გულში გავლებსთანავე ნაბიჯი მერეოდა და სუნთქვა მეკვროდა ხოლმე. ჩემს წარმოსახვებში, სადაც ბევრად მიმზიდველი ვიყავი და უფრო ლამაზი კაბები მეცვა, შეხვედრის გარდა მოულოდნელი არაფერი იყო — ვიცოდი, რას ვეტყვოდი და რას მიპასუხებდა, როგორ შეხვედავდი და როგორ შემომხედავდა, ნისლი იქნებოდა თუ მზიანი ამინდი. ფიქრებში ვართულს გზის გადაკვეთისას ხშირად შექნიშნისთვის არც კი შემჩნებავს, მანქანის სიგნალს შევუფხიზლებივარ და დამფრთხალი ადგილზე გავშეშებულვარ.

ფილმი შემოდგომის ნაცვლად ტელევიზიით ვაზაფხულზე აჩვენეს. დედა ხეობის თვალწარმტლ სახანებს აკვირდებოდა, ჩემი და — ნაცნობ სახეებს, მე კი მირიანის კადრში გამოჩენისას განგებ სხვა სახელი ვთქვი, ვითომ აღარც კი მახსოვდა. სინამდვილეში ჩემს გულს გადასხვაფერების არაფერი ეტყობოდა. ისევ ისე ვთრთოდი მასზე ფიქრისას, მუხლებს ვეხვეოდი და ნიკაპს ვაბჯენდი მონატრების ტალ-

ღის შესაკავებლად. ძილის წინ ზაფხულის სამი დღის ამბავს საკუთარ თავს დანვრლებით ვუამბობდი ხოლმე, რომ არაფერი დამეწინებოდა. ზოგჯერ მისი ხმის მიბადვაც მიცდია, ოღონდ ნანატრი ტემბრი კვლავ გამეგო და მესხიერებაში საიმედოდ შემენახა. ყოველ ღამით ვრცელ წერილებს ვწერდი და საგულდაგულოდ ვმაღავდი. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ადრესატამდე ვერც ერთი მათგანი ვერ მიაღწევდა და ბოლოს საკუთარი ხელით მომიწევდა სკოლის რეფერატორს ამოხეული ფურცლების კოცონზე აბრიალება. ფურცლის გარდა ჩემი საიდუმლო ვერავის გავანდე, სევედისგან წონაში დავიკედი, გავფერმკრთალდი და თმამ ბზინვარება დაკარგა.

გავიდა წლები, ცხვირი დამიმშვენდა, გულს ძველი განცდები მიავიწყდა, გონებას კი მისი სახელი, რომელიც გაღვიძებისთანავე პირველ სიტყვად ამეკვიატებოდა

ჯერ იყო, რალაც ფოტო დაიბეჭდა ჩვენთან, ავტობუსის გვერდითა სარკეში არეკლილი კადრი იყო. უკან კაცი იდგა და იმას მივამსგავსე, მივვარდი ფოტოგრაფს, სად იყავი, სად გადაიღე-მეთქი. მერე ისე მოხდა, რომ საპირველმისოდ რკინიგზელზე სტატია უნდა მომეზადებინა. სტატისტიკა კი მქონდა, მაგრამ მხოლოდ ციფრები არაფერია ადამიანთა ხმების გარეშე. ჰოდა, მთავარანგელოზობა იყო, მგონი, და რკინიგზელების მფარველ ხატს დეპოში მიაბრძანებნო, გავიგე. ავიღე დიქტოფონი და წავედი. მეუფემ დეპოს თანამშრომლები დალოცა, მერე გარდაცვლილი რკინიგზელების მემორიალი აკურთხა, იმათი, ვინც საქმის დროს დამარცხებულიყო. მისი სახელი და გვარიც იქ ამოვიკითხე, მარმარილოს სვეტზე. გული მომიკვდა, მინდოდა, მიმეწერა, მეც-მეთქი. მხრებჩამოყრილი წამოვედი, სტატის დასაწყისზე ბევრი აღარ მიფიქრია.

უნდა გაცხადდეს და ჩვენი ამბავიც ასე გასრულდეს. მთელი ღამე ვკრეფდი მგზავლებს და მერე აღარ ვაგზავნიდი. სიტყვებს ვაადგილებდი და ვანაცვლებდი, წინადადებებს ვამოკლებდი და ვავრცობდი, ბოლოს ყველაფერს ვშლიდი, მობილურს ბალიშის ქვეშ ვინახავდი და თვალს ვატყუებდი. ინათა თუ არა, გადავწყვიტე — მსოფლიოს უახლეს ისტორიაში სწორედ დღეს იყო ის დღე, როდესაც იმ საუკუნის საიდუმლო ამ საუკუნეში უნდა გამჟღავნებულიყო. ღრმად ჩავისუნთქე, ხმა ჩავინმინდე და სავიზიტო ბარათზე ამოკითხული ნომერი ავკრიფე. ზრუნატელმა დამიარა, გული საგულედან ამომივარდა და პირველი ზუმერის გაგონებისთანავე გავთიშე. სამზარეულოში ყავის დასალევად გავედი და ფარდა ფანჯარაში გაუხედავად ჩამოვაფარე — არ მინდოდა, რამეს შეეცვალა ჩემი განწყობა და გადაწყვეტილება.

რუსუდან რუხაძე

სიყვარულის წონა



ხოლმე. ერთადერთი, რაც იმ დღეებთან მახრუნებდა, შავ-თეთრი ფოტო იყო ძველი ალბომიდან — სანატორიუმის ტერასაზე ვდგავარ, ცალი ხელი მოაჯირზე ჩამოიდგა და გზას ვაცქერდი. ერთ დამსვენებელს, რომელიც ფოტოგრაფიაში განაფხვას ცდილობდა, მაღულად გადაულია და წამოსვლისას დათარიღებული კონვერტებით მოულოდნელად დაგვასაჩუქრა.

ეს ფოტო ახლაც მაგიდაზე მიდევს და მობილურით ვაციფრვლებ. მირიანთან შეხვედრის შემდეგ თითქოს ჩემი თეთრი ქვედაბოლოს ფიგურისფერ ზოლებსაც ცხადად აღვიქვამ.

ისევ ჩიტების ტექსტებს ვუკირკიტებ, ზოგან პირველი წინადადება ზედმეტი მეჩვენება — ყელის ჩანმენდასავით არის, ამბავი კი მერე იწყება. გარეელი მაღლიერია, მოყოლის მერე იმ მწვანე მესხიერებაში ისევ ამოანათა და გული გამითბო. ჩიბუხელა მწერს, გულწრფელი რომ ვიყო, მისი მონერილი ღამითვე ვნახე, შეტყობინებამ შემაფხიზლა, მაგრამ სანამ უსათვალოდ ფოკუსი გავასწორე და ნაკითხვა მოვასწარი, სიტყვა უკან წაიღო.

\*\*\*

ჩანერიკო N77, გარიელი

„სკოლაში ერთი უთქმელი ბიჭი მიყვარდა. მწვანე შარფი ეკეთა ხოლმე ზამთარში და, აი, გზის დასაწყისშივე მივანდევნიდი ხოლმე თვალს და ყველასგან გამოვარჩევდი. სულ იმის მოლოდინსა და ძებნაში ვიყავი. ხან რას მოვიმიზეზებდი გამოსალაპარაკებლად, ხან — რას. დაირცხვენდა ხოლმე, თვალზე დახრიდა და ნიკაპზე ხელს ჩამოიხვამდა. ბოლო ზარზე წინსაფარზე მიმინერა, მეცო. მე არაფერი მეთქვა მანამდე, აღარც იმას დაუძრავს სიტყვა მას მერე. იმან სწავლის გაგრძელება არ ისურვა და რკინიგზაში დაიწყო მუშაობა, მე თბილისში წამოვედი სასწავლებლად. მერე ჩვენი ქალაქიდან სხვაგან გადაუყვანიათ, მშობლებიც ადრე გარდაეცვალა და დავკარგე კვალი. ცხოვრებამ სხვადასხვა მხარეს წავიღო, ინტერნეტი მაშინ არ იყო და ეს დღედაღამ მინერ-მონერები უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გახეთმი დავიწყე მუშაობა, კორესპონდენტად.

ჩანერიკო N78, ჩიბუხელა

„ორი ოთახის ერთი ფანჯარა — სულ ეს იყო. ისე არაფერი მახდენიერებდა, როგორც ჩატის ნათება მისი სახელისა და გვარის გასწვრივ. გულს მიჩქარებდა მოვილოდე წერტილების დანახვა, როცა რალაცას მწერდა. ერთხანს ეს ყოველდღე ხდებოდა, მისალმებისა და დამშვიდობების გარეშე, უმეტესად, მოკლე კითხვებითა და პასუხებით. მერე დაძინებამდე ფოტოებზე მის ნაკეთებსა და შესტებს ვაკვირდებოდი და ვხვდებოდი, რომ არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა გარდა იმისა, თუ რას მომწერდა — არც ვარცხნილობას, არც პერანგის ფერს, არც ყოველდღე გამოფენილ სამთო ველოსიპედისტების ფოტოებს, რომელიც საერთოდ არ მაინტერესებდა. მე მხოლოდ მისი სიტყვები მიზიდავდა, მას — ჩემი ნახატები. პირველად თვითონ შემომეხმინა და ღამის ნიუ-იორკის ზემოდან გადაღებული ფოტო გამომიგზავნა, ხომ არ ცდიდო. მეც გამალებით ვხატავდი წყვილადს და მწყობრად მანათობელ წერტილებს დედამინაზე. დილით, ყავის დაღვევამდე, ნახატს ფოტოს ვულებდი და ფანჯრის რაფაზე ვახვედრებდი, ის კი მოფენილ წერტილებში ჩამალულ ამბებს კითხულობდა: „ეს ქალაქის მთავარი მოედანია“, „აქ ხე დგას ავტობანზე“, „ეს საპორტო ქალაქია“, „აქ სტადიონი უნდა იყოს“. ხშირად დამინერია და წამოშლია, მაგრამ არასოდეს მითქვამს, რომ იმ პატარა საოკემლზე კარგი, დიდი ხანია, ჩემს ცხოვრებაში ბევრი არაფერი მომხდარა. ერთ დილით ფანჯარაში გამოგზავნილი და წაშლილი მესიჯი დამხვდა — Oscar removed a message. პირობითად დავარქვით ოსკარი. მას მერე აღარ შემხმინებია და აღარც ჩემს მინერილზე უპასუხია. აი, ასე. მე კი დიდხანს, ძალიან დიდხანს იმ წამლად წერილს ყოველდღე სხვადასხვაგვარად ვკითხულობდი.“

\*\*\*

ჩიტებმა დაიბუდეს, აღარავინ მწერს. მე კი გაციფრებულ ფოტოს ინსტაგრამზე ფილტრებს ვუცვლი და ვფიქრობ — რახან ისევ შეხვდით ერთმანეთს, ყველაფერი

რადგან მირიანის ცხოვრებისა და ყოველდღიურობის შესახებ არაფერი ვიცოდი, ყველაზე ინტიმურ, განმარტებულ სივრცედ ისევ მისი სამუშაო ოთახი წარმოვიდგინე და ამიტომაც საღამოს მიწერას ისევ დილით დარეკვა ვამჯობინე. ხელახლა დავაჭირე ლილას და მღელვარებისგან ყელში სიმშრალე ვიგრძენი. უპასუხო ზარმა კიდევ უფრო ამაფორიაქა, წყალი მოვსვი და გათანგული ტახტზე მივესვენე.

ოც წუთში გადმომირეკა, მობილური ისევ ხელში მეჭირა. მავატიე, შეხვედრაზე ვიყავი. შუბლზე ხელი დავიფინე, სათქმელი რომ არ გამბნეოდა, თუმცა მისი ხმის გაგებაზე წინასწარ მოფიქრებული ყველა ფრაზა ერთბაშად გაქრა გონებიდან. ცალკეულ სიტყვებს ქარიშხლის დროს ჰაერში მოთამაშე ნაფოტებივით ავედევნე და წინადადებას თავი ძლიერ მოვუყარე.

ჰო, მე გირეკავდი-მეთქი. გისმენო. რალაცის თქმა მინდოდა-მეთქი. ყურადღებით გისმენო. იცი? იცი, რა-მეთქი. აქ ვარ, მკითხეო. მოიცადე, გამახსენდება-მეთქი. მზად ვარ, გიპასუხოო. ჰო... მისმინე... ქალაქის წონა რამდენი იქნება-მეთქი. 90 გრამიო...

ხალათი მოვიცვი, ფარდა გადავწიე და ფანჯარა შემოვალე. ზამთრისპირის სუსხიანი, უმზეო დღე იდგა. სამსახურიდან დავეთხოვე და უძინარმა მთელი დღე ლოგინში გავატარე. ფოტოკოლაჟებისთვის ჩიტების გამოსახულებებს ინტერნეტში უფრუებოდ ვეძებდი. ბოლოს ყაპაყპი წარმოვიდგინე ტყავის ქვედაბოლოთა და გამეღიმა.

საღამოს ბლოკნოტი გადავფურცლე, მოდუნებული ხელის მტევანი შევაფხიზლე და წინასიტყვაობის ნაცვლად წიგნის ბოლო გვერდის წერა დავიწყე.

ჩანერიკო N79, გულნითელა:

„Tibi Et Igni“ — ჩემი ყველა წერილი ასე იწყებოდა...“

\*Tibi Et Igni — ნაკითხვისთანავე დაწვი.





ზაალ სამადაშვილი
ნახატების ნაკითხვა
ნორმან როქელი

\*\*\*

ბამოღბეს თუ არა ფეხი სახლიდან, ძალი იქვე, პარ-
მალზე შეეგებათ. სხვა დროს, სარწვევლა სავარძელთან
მინოლილი, თვალს თუ გააყოლებდა პატრონებს, ახლა კი
ხტოდა და ნკმუტუნებდა, ხან ერთს ეგლასუნებოდა წვივე-

ბზე, ხან მეორეს. იმდენი ინკავნკავა, იმდენი იზზრიალა,
რომ სანადელს მიაღწია, უფლება მოიპოვა „პიკაპის“ სა-
ბარგულზე შემხტაროყო...

საბარგულზე მოთავსდა ბიჭი, ჩემოდანი და წიგნები
კაბინაში დაუნყო მამას. შარვალი ასვლის დროს გაემუ-
რა, საბურავს გაუხახუნა ტოტი ალბათ...

საათნახევარი იჯაყყაყეს დანიშნულების ადგილამდე.
სისხამ დილით კი გამოემგზავრენ, მაგრამ მაინც დას-
ცხათ, ოღრო-ჩოღრო შარავზა შიშველ გორაკებს შორის
მიიკლაკნებოდა და ახლად ამონვერილ მზის სხივებს ვე-
რაფერი ელოებოდა წინ...

ავტოსადგურამდე რომ მიაღწიეს, შენობის შორიხ-
ლოს ჩრდილიანი ადგილი მოძებნეს და ჩრდილოეთისაკე-
ენ მიმავალი ავტობუსის მოლოდინში „პიკაპის“ საფეხ-
ურზე ჩამოსხდნენ. ძალი ბიჭს მიუცუცქდა და თავი მუხ-
ლზე დაადო. მამამ სიგარეტს მოუკიდა, წელში მოიხარა,
ცოტა არ იყო დაღალა საჭესთან გამართულმა ჯდომამ.
ბიჭმა კისერი წაიგრძელა და იქითკენ დაიწყო ყურება,
საიდანაც დიდი, ყვითელზოლიანი, სავარაუდოდ „ფორ-
დის“ მარკის, ავტობუსი უნდა გამოჩენილიყო...

სასწავლად მიემგზავრება. შესაძლოა სწორედ იმ პა-
ტარა ქალაქის კოლეჯში, სადაც სამი ათეული წლის წინ
მათი შტატის ყველაზე სახელოვანი მკვიდრი, მთელ დუნ-
იაზე ცნობილი მწერალი სწავლობდა...

ოდესმე თვითონაც თუ დაწერს ავტობიოგრაფიულ-
თან მიახლოებულ რომანს, ალბათ მოყვება რამეს თავის
პაპასა და მამაზე, რომლებიც იმ მწერლის წინამორბედე-
ბისგან განსხვავებით პოლოკონიკები არ იყვნენ, მშვი-
დობიან საქმიანობას ეწეოდნენ. ერთს სამჭედლო ჰქონ-
და, სადაც ნალებს, ნიჭის პირებს და ფორნის ბორბლებ-
ის სალტეებს ამზადებდა, მეორე კი, საკუთარი ხელით ავე-
ტოსახელოსნოდ გადაკეთებულ მამისეულ სამჭედლოში
ძრავებს, სიჩქარის კოლოფებს და აკუმულატორებს დას-
ტრიალებდა გამთენიიდან დაღამებამდე...

\*\*\*

„პაპის ნაქონი საყვირია, ერთადერთი თეთრკანიანი
მუსიკოსისა ხუთკაციანი ახალორლეანულ ბენდში, რომელ-
იც ლუიზიანას შტატის გარეთაც უკრავდა ოდესღაც —
პატარა ქალაქების ხმაურიან რესტორნებში...



საყვირი კარგად არის შენახული, თუმცა რამდენიმე
ადგილას ნაკანრი ემჩნევა. თითოეულის ისტორია იცის
ბიჭუნამ, პაპა უყვებოდა, მთვრალეების მიერ ატეხილი
რომელი დავიდარაბის სახსოვარი იყო მოკლე — განივი
ან გრძივი ხაზი ინტრუმენტის ვერცხლისფერ, ერთ დროს
ლაპლაპა ტანზე...

ნოტების კითხვასთან ერთად ბერიკაცმა ისიც ასწავ-
ლა შვილიშვილს, როგორ უნდა ისუნთქოს დაკერის დროს.
სავარძელში ასე ჯდომა კი დაუშალა ერთი-ორჯერ, მა-
გრამ მერე თავი დაანება, უთხრა, გინდა, ყირაზე დადექი,
ოღონდ სასურველი ხმა გამოაცემინე საყვირსო...

გულმოდგინედ ბერავს ლოყებს წითური, ფერადნი-
დებიანი ბუთხუზა, ცდილობს, სწორად დააჭიროს თითი
ლილაკებს. იმ დღეზე ოცნებობს, როცა დიზი გილესპივი-
თ დაუკრავს და მარტო ერთი მსმენელი კი არ ეყოლება
ნახატებიანი სავარძლის ქვეშ მოკალათებული ლეკვის
სახით, არამედ ბევრი და კარგი ჯაზის დამფასებელი —
ბაბუასავით...

ამბის დასაწყისი

წვიმას გამოერიდნენ ქუჩიდან ერთიც და მეორეც,
კაფეს შეაფარეს თავი.

მეორემ რომ შემოაღო კარი, პირველს უკვე შემშრალი
ჰქონდა თმა.

პატარა, ძველისძველი კაფე იყო, მისი ნახევრადშემ-
ინული კარი, თავის ძაფზე დაკიდებული, ნაოჭებასხმული
ფარდებით, ოჯახური სიმყუდროვის განცდას აღძრავდა.

პირველი გაღუმპულისგან განსხვავებით, მეორეს
ბარგი ჰქონდა, ათიოდე ტილოგადაკრული ჩარჩო, რომ-
ლის წინა, ფერადი მხარე მას შემდეგ გამოჩნდა, რაც მან
საღებავაქერცლილ, ნესტიან კედელთან მიანყო ისინი,
ერთმანეთისგან გააცალკევა და თვალდევრება დაუნყო,
ხომ არ გადაღაბნა რომელიმე წვიმამო.

ნახატები იყო — ცარიელი ქუჩები, ერთმანეთს გადა-
ბმული სახლები, მოკრძალებული ტაძრები. დაზიანების
კვალი არცერთს ეტყობოდა.

რა კარგებიაო, თქვა პირველად შემოსულმა და ჰკითხა,
ვისიაო?

ახალგაზრდა, გამხდარმა კაცმა, სავარაუდოდ მისმა
ტოლმა, რომლის განამებულ, დაქანცულ გამომეტყვე-
ლებას მცირედი შეება დაეტყო კედელთან გამჭკრივებუ-
ლი ტილოების გულმოდგინე დათვალეირების შემდეგ, მო-
კლედ უპასუხა, ჩემიო.

კაფეს მეპატრონემ, ნითელცხვირიანმა, სქელულვაშა
ბერიკაცმა, მანამდე მუცლიან ჭიქებს რომ აკრიალებდა
თეთრი ხელსახოცით, იცნო მხატვარი. რამდენიმე კვირის
წინ ის ერთი ბოთლი ღვინის ფასად სთავაზობდა ნახატს,
ოღონდ რომელს, ამათაგან ერთ-ერთს, თუ სხვას, ვერ
იხსენებდა...

გაუკვირდა, რამ მოანონა ამ კარგად ჩაცმულ, სერი-
ოზულ ბატონს ეს ნაჯღაბნებო, მაგრამ კრინტი არ და-
უძრავს, სტუმარს გაუფრთხილდა, მის კაფეში იშვიათად
შედიოდნენ ამ ახალგაზრდა ფრანტის მსგავსი ადამიანე-
ბი, შეკვეთის მიცემისთანავე რომ იხდიდნენ ფულს და არა-
ფერი ეტყობოდათ შეთრობისთანავე შფოთის ატეხვისა...

\*\*\*

ეს გახლავს სურათი, დასაწყისი ამბისა, რომლის თან-
ახმადაც ტანზე კარგად მომდგარ სერთუქსა და სქელკ-
ვანძიან ჰალსტუხში გამოწყობილმა ახალგაზრდა ბატონ-
მა შემთხვევით გადაყრილი მხატვრისგან ერთი კი არაა,
რამდენიმე ასეული ბოთლი ღვინის ფასად იყიდა მისი ნა-
მუშევრები. ორიოდე დღის შემდეგ კი უმორჩილესი თხო-
ვნა მოისმინა მისი დედისგან, თუ მოგადგათ, ფული აღარ
მისცეთ ჩემ შვილსო. ამ თხოვნის შესრულება იოლი აღ-
მოჩნდა, რადგან მხატვარი იმდენი ხნით გადაიკარგა, რა-
მდენიც სჭირდებოდა ათასი სავსე ბოთლის გამოცლას...

\*\*\*

პარიზული სურათი და პარიზული ამბავია, ასი წლის
წინანდელი...

ნახატების გამყიდველი მორის უტრილოა, ერთობ
არეულ-დარეული, თავისი ნახატებით დარდიანი კაცი.
მყიდველი — ჟან ანრი პისარო, სწორედ იმ დიდი პისა-
როს, კამილის შვილი.

დედა — სუზან ვალადონი, ყოფილი მენატურე ქალი,
მერე ხატვა რომ დაიწყო.
მონმარტრზე მდებარე კაფეს მეპატრონის სახელი ის-
ტორიას არ შემოუწახავს.

ორთქლავლების ოსტატი

„მომვიდა სადგურის უფროსის გამოგზავნილი კაცი
და უთხრა ბაბუს, ორთქლმავალი გაფუჭდა გზაზე, გაჩ-
ერდა მატარებელი, უნდა ნახვიდე და შეაკეთოო.

წამოხტა ბაბუ ფეხზე, ჩაიცვა კიტელი, ჩაანყო საკვო-
იაჟში იარაღები, დაიხურა გერბიანი ქუდი და გაყვა იმ
კაცს.

ჩავიდა ადგილზე და დაათვალიერა ორთქლმავალი.
თან ათვალეირებდა და თან ჩაქუჩს უკაკუნებდა თურმე
ბორბლებსა და ლერძებს, რომ გაეგო სად და რა იყო გა-
ტეხილი.

ქვეყნის ხალხი მჯდარა მატარებელში. ბაბუს დანახ-
ვაზე იმედი მისცემიათ, გვიშველის ალბათ ეს კაცი და გაე-
ავრძელებთ გზასო. ზოგს შინ მიეჩქარებოდა, ზოგს სტუმ-
რად, ზოგს საქმეებზე.


კაი ხანი დასჭირვებია მათი იმედის გამართლებას.
ბევრი უწვალა ბაბუს, მაგრამ მიუგნია დაზიანებული

ადგილისთვის, უმუშავია მთელი ღამე, გამოუცვლია ნან-
ილი და უთქვამს მემანქანისთვის, დაძარი ორთქლ-
მავალიო. მაზუთით გაპოხილ კომბინეზონში გამოწყობილ
მემანქანეს გადმოუნევია სახელური, შეუყრია და შეუყრ-
ია დიდი ნიჩბით ღუმელში პრიალა ანტრაციტი სხეგა-
მურულ ცეცხლფარეშს და ახმურებულა ორთქლმავა-
ლი — სტეფენსონის მანქანა — ჩუქუ-ჩუქუ, ჩუქუ-ჩუქუ,
ჩუქუ-ჩუქუ.

შეებით ამოუსუნთქავთ მგზავრებს, მიმდგარან ვაგონ-
ების ფანჯრებთან და მადლობის ნიშნად ხელები დაუქნე-
ვიათ ქვევით, ლიანდაგების პირას მდგარი ბაბუსთვის...

ასმეორედ ყვება ბებო ამ ამბავს და ასმეორედ ევსება
გული სიამაყით პატარა ბიჭუნას. უბრალო საქმე ხომ არ
არის, ასეთი ხელმარჯვე კაცის შვილიშვილობა.

ბებოც მაგარია, მისი წყალობით ბევრი რამ იცის, მათ
შორის ისიც, რომ ანტრაციტი პრიალა ნახშირია და
სტეფენსონი ინგლისელი გამომგონებელი...



ერთი ფრანგი მფრინავი

რუსი ფერის მალაღი, სამსართულიანი სახლი მეცხ-
რამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იყო აშენებული და
იმდროინდელი წესის შესაბამისად მის სადარბაზოს მოზა-
იკით მოპირკეთებულ იატაკს „SALVE“ ეწერა შესასვ-
ლელთან.

შეაბიჯებდი ამ სადარბაზოში, აივლიდი მარმარილოს
კიბეს, ახვიდოდი მეორე სართულზე, შედგებოდი მარჯვე-
ნა მხარეს მდებარე ხის მასიურ კართან, დააკაკუნებდი,
გაკილებდნენ და აღმორჩნდებოდი ოთახში, სადაც ფირ-
საკრავისა და ტელეფონის აპარატის გარდა ყველაფერი
ძველებური იყო — სკამები, მაგიდა, გობელენები, ფო-
ტოები, ჭალი.

აქ, ამ ნივთების გარემოცვაში მოისმენდი მრავალ უც-
ნაბურ, ერთიმეორეზე გულშიჩამწვდომ, დამაფიქრებელ
ამბავს. ზოგი დაგამახსოვრდებოდა, ზოგი — არა. მეხ-
სიერებას დიდხანს შემორჩენილ, გონებაში მკაფიოდ აღ-
ბეჭდილთა შორის, შესაძლოა, მომხვდარიყო ერთი ფრან-
გი მფრინავის ცხოვრების დეტალები.

მაგალითად, ასეთი:

როგორ ჩაუვარდა მას გულში მომხიბლავი საღვა-
დორელი ქალი, როგორ ჩაისვა ის თვითმფრინავის კაბი-
ნაში სასიყვარულო თავბრუს დასახვევად და ბუნოს-
აირესის თავზე ტრიალისას როგორ უთხრა, თუ არ მაკო-
ცებ, მტურვალს გავუშვებ ხელსო.

ანდა, უფრო ზოგადი:

როგორ ებრძოდნენ და ამარცხებდნენ ის და მისი მე-
გობრები პატარა, პროპელერული თვითმფრინავებით
ზეცის, ჰაერის სტიქიას აფრიკის ქვიშორბების, სამხრეთ
ამერიკის მთის მასივების, ხმელთაშუა ზღვის და ატლან-
ტის ოკეანის თავზე. როგორ მიჰქონდათ საფოსტო გზა-
ნილები ადამიანებისთვის დაკარიდან კასაბლანკამდე,
ასუნსიონიდან სანტიაგომდე, ტულუზადან რიო დე ჟან-
ეირომდე და რას გრძნობდნენ ღამით, როცა უკუნ სიბნე-
ლესა და ქარიშხალს გამორიდებულები პირველ მზულუტავ
სინათლეებს ამჩნევდნენ სადაც შორს და ქვემოთ.

ან უფრო მნიშვნელოვანი:

რომ ის მფრინავი წიგნებს წერდა, განკუთვნილს ნები-
სმიერი მკითხველისთვის, მაგრამ განსაკუთრებით ისეთე-
ბისთვის, რომლებიც ლიტერატურის სამყაროში ახალი,
საიმედო საყრდენების საძიებლად დაეხეტებიან... რომე-
ლებისთვისაც მოთხრობა და რომანი იგივეა, რაც უკიდე-
ვანო უდაბნოს გადალახვის ჟინით შეპყრობილი მოგზა-
ურისთვის ბარხანებსა და დიუნებს მიღმა მოულოდნელად
აღმოცენებული ოაზისი, ადგილი სულის მოსათქმელად,
წყურვილისა და შიმშილის მოსაკლავად, რის გარეშეც
გზის გაგრძელება, მიზნის მიღწევა — შეუძლებელია.

ახალგაზრდა ქალი, რომელიც ყოველივე ამას ჰყვე-
ბოდა, პარიზელ კოჰნია დისახლის ჰვაგდა, კალათით
ხელში დილაადრიან რომ გამოდის სანოვაციის საყიდლად
და ქუჩაში გამოდგმულ დახლებთან მოფუსფუსე წინსაფ-
რიან კაცებს სახე რომ უნათდებოთ მისი დანახვისას. BON-
JOURS, წამლერებით რომ ესალმება თითოეულ მათგანს
და თავდაცვ რომ უცისკროვნდება თვალები.

ეს თეთრი ლექსივით ტექსტი ეძვვნება ფრანგულის
მასწავლებელს, მოსწავლეები შინ რომ აკითხავდნენ იმაზე
მეტის მოსასმენად, რასაც სკოლაში, გაკვეთილზე ისმენდ-
ნენ მისგან და რა თქმა უნდა, ანტუან დე სენტ-ეკვიუპ-
ერის კონსუელო სანდოვალთან, ჟან მერმოზთან, ანრი გი-
ომესთან და დიდი დორასთან ერთად...





ეროვნული  
საბავშვო  
საბავშვო  
საბავშვო



სოფო ნულაია

სამი ლექსი ახალ კორონავირუსზე

N1 ჩვენი კლასტერი

ჩვენ ერთი კლასტერი ვართ — მე, შენ და ბავშვი,  
 ანუ ბიჭი, რომელსაც სისხლი ვერა,  
 მაგრამ ცოტა სული ორივემ გადავუსხით და  
 ახლა ეს ბიჭი დგას და გვიღიმის — ხანაც ხელში აყვანას გვთხოვს,  
 ჩვენ კი აივანზე ვსხედვართ,  
 მუხლისთავზე ოდნავ გეხები — ბავშვზე განიშნებ,  
 შენ კი ვერც გრძნობ — თავი შენს აიფონში გაქვს ჩარგული  
 და იქიდან ახალი ამბების ამოკენკვას ცდილობ —  
 იტალიაში ბოლო მონაცემებით 25 000-ზე მეტი გარდაცვლილია  
 და ეს ციფრი წამების ინტერვალით იცვლება;  
 დედაშენიც იტალიაშია,  
 დედაშენი რისკ-ჯგუფშია,  
 მაგრამ შენ 19 წლის შვილის ბედი უფრო გაღელვებს,  
 ამერიკაში რომ დარჩა,  
 დღეში ერთხელ გვირეკავს და ცდილობს, დაგვატრენინგოს.  
 — ხელეები ხშირად დაიბანეთ! —  
 გვეუბნება ტელეფონის მონიტორზე მზესავით ამოციმციმებული ბიჭის თავი  
 და ხედები, რომ ამასობაში ძალიან გაიზარდა,  
 შენზე დიდიც კი გახდა...  
 იქნებ, უბრალოდ გეჩვენება, მაგრამ ახლა ასეა საჭირო —  
 დიდი უნდა იყოს, რომ როგორღაც გადაურჩეს ამ სასაკლავოს...  
 ჩვენს წინ კი ტბაა და ჩვენგან განსხვავებით, ოდნავაც არ ლელავს.  
 სამაგიეროდ, მისი აიფონის ეკრანისფერი ზედაპირიდან  
 ყოველ დილით ამოყვინთავენ ხოლმე ახალ-ახალი შიშველი და სველი დღეები,  
 გვიახლოვდებიან, ჯერ ტკივილებით დაცვარულ ხელებს ჩვენი იმედებით  
 იმშრალევენ,  
 დაჭმუჭნულ-დაკუჭულებს ლოგინზე გვყრიან  
 და კვლავ ტბაში ჩაესვენებიან.  
 ჩვენ წინ გადაშლილი ტბის ფსკერში იგრაგნებიან ის უერთმანეთო დღეები,  
 ერთად რომ გაგატარეთ და მაინც ყველაზე ნაკლებად იყო სავსე ჩემით და შენით...  
 ღამით კი, თუ შეძლებ და ამოიკნავლებ:  
 — მიშველე! —  
 წინასწარ ვიცი, რომ ბალიშზე დაჭყლეტილ თავს  
 და ლოგინზე დალურსმულ სხეულს ვერაფრით ავნებ,  
 ანუ ვერ გიშველი  
 და ძალიან ვნუხვარ, რომ ვერ გიშველი...  
 ჩვენი ბიჭი კი ტირის და მახსენებს, რომ ცოცხალი ვარ  
 კი არაა, ვალდებული ვარ, ვიცოცხლო,  
 ამიტომ ვდგები და ვცდილობ, მის სიკვდილს მთელი სხეულით გადავეფარო;  
 ტბაში უჩვენო დღეები ნიოკობენ,  
 შფოთავენ,  
 ხან ზედაპირზე ამოტივტივდებიან,  
 ხანაც ფსკერზე ილექებიან ყავასავით, დილიდან რომ გაგვჟღინთა,  
 ამ დროს კი შენი 19 წლის შვილი მთელი ორი ოკეანით გაღმა ნაპირზე იღვიძებს,  
 შენც ცდილობ, ფიქრებით გადასწვდე  
 კი არაა, როგორღაც სხეულითაც მისწვდე  
 და მისი სიკვდილი აისხლიტო...  
 თუ შევძლებთ ჩვენი ბავშვების დაცვას, ჯანდაბას, მოვკვდეთ —  
 ისედაც იმაზე ბევრად მეტი ვნახეთ, ვიდრე საჭირო იყო,  
 ვიდრე დავიტევედით, ვიდრე შევძლებდით, ავიტანდით, გადავიტანდით  
 ანუ გავუძლებდით  
 და ნუ გიკვირს, რომ აღარ მიყვარხარ,  
 ახლა შვილებს უფრო ვჭირდებით, ვიდრე ერთმანეთს.

N2 სიყვარული ჟამიანობის დროს

ერთმანეთისგან მწვავე უძილობა გადმოგვედო —  
 ყოველ ჯერზე, როცა ჩემი სხეულისგან ბოლომდე დაცლილი საწოლიდან დგები,  
 მიდხარ ჩემგან ბოლომდე დაცლილ კარადასთან  
 და დიდი ხნის წინ გარდაცვლილი კაბის მულაჟს  
 უკვე მეთათხად აყოლებ მთელი ძალით გაჯახუნებულ კარში მაჯას —  
 ისიც უკვე მეთათხად გიყოფს ენას,  
 კარსა და სიბნელეს შორის ჩაჭყლეტილი  
 და ამ დროს შენ ოდნავაც არ გტკივა შენი უჩემობა;  
 მეც შევეჩვიე შავ-თეთრი დარდის და ამრიალებული კედლების კვილის,  
 კიდეც — მხოლოდ ცალ მხარეს ორსულ საწოლს,  
 ყველაზე მეტად რომ ჰგავს სიკვდილს  
 და მარადიული უძილობით დასნებოვნებულს  
 91 წლის ბებოს მოყოლილი ამბავი მახსენდება:  
 — ჩაფა, ვირუსები მაშინაც იყო, განა, არ იყო...  
 დედაჩემის მამა, ბიძა და 15 წლის და გარდაიცვალნენ ერთ კვირაში „ისპანკით“...  
 — რა ერქვათ?..  
 — სახელები არ ვიცი...  
 — მაოცებ, ბებო, სახელები როგორ არ იცი?..  
 — მე 1929-ში დავიბადე, ეს კი 1918-ში მოხდა...  
 დედაჩემი ამაზე არასდროს საუბრობდა... მე რა ვიცი...

— თავს ნუ იმართლებ, ბაბუაშენის სახელი როგორ არ იცი, ქალო...  
 — არ ვიცი, თავს არ დამანებებ?..  
 თურმე, ჩემი დიდი ბებო გარდაცვლილ ოჯახის წევრებზე არასდროს საუბრობდა,  
 შვილებთანაც კი,  
 მე კი მთელ ქვეყანას მოვდე ჩვენი გარდაცვლილი სიყვარული —  
 ყველას დასანახად გიტირე და  
 უკვე სასაცილოსთან ერთად სამარცხვინოც ხდება  
 გლოვის ეს დაუსრულებელი კაკაფონია...  
 ვერა და ვერ ვისწავლე,  
 უშენობის 30 წვეთი უძილო ღამის წყვილადმი გაგაზავო,  
 მერე სულმოუთქმელად გადავკრა  
 და თუ ვერ დავაძინე, დავადუმო მაინც მღრღნელი ტკივილები...  
 გული დამწყდა,  
 გარდაცვლილი წინაპრების სახელები რომ  
 ვერ შემოინახა შთამომავლების მეხსიერებამ.  
 ყველაფერი დასანანია, რაც სამუდამოდ მთავრდება —  
 სიცოცხლე და სიყვარული მითუმეტეს.

N3 შიმშილი

გვერდზე ვედექი და ვუყურებდი,  
 როგორ ავლებდა დედა ჩემს კაბას  
 თოვლით პირთამდე სავსე ვარცლში  
 და მიკვირდა,  
 რატომ არ რჩებოდა თეთრი ლაქები ჭრელ მაქმანებზე  
 და მომინდა,  
 თოვლიან ვარცლში ხელი ჩამეყო,  
 იქ დამწყვედული სითეთრე მომეპარა  
 და მიფარებულ ადგილას ჩუმად ჩამედექა...  
 არ მახსოვს, ეს როგორ გავაკეთე,  
 იმ ამბებიდან მარტო დედაჩემის ხმა დამრჩა,  
 ვილაცას უთხრა:  
 — სარეცხი ფხვილის ქაფი შეჭამა, კიდეც კარგად გადავრჩით...  
 მერე მაჯებზე დავიხედე —  
 ორივე ხელზე პლასტმასის თეთრი პეპელა მაჯდა,  
 ორივეს რკინის გრძელი ნისკარტი ჰქონდა  
 და ვენებს ხარბად მიკორტინდნენ...  
 მაშინ გადავრჩი...  
 მეორეჯერაც როცა გადავრჩი,  
 სანამ უკან დავებრუნდებოდი, უცნაური რალაც მესიზმრა —  
 გედისთავა რკინის სასწორთან კაცი იდგა და ნაცარს წონდა,  
 მე კი ვუთხარი:  
 — ერთ პინაზე ბევრად მეტია.  
 მან მიპასუხა:  
 — ყოველთვის ასეა,  
 ვილაცას ბევრად მეტი აქვს, ვილაცას კი ბევრად მეტად უყვარს...  
 დღეს, როცა ქუჩაში კარტოფილს ვყიდულობდი,  
 დაშრეტილმა ბებომ მოაჩხაკუნა გამომშრალი ძვლები,  
 მორცხვად გადაგვიდგა წინ მე და გამყიდველს  
 და ცალკე გადარჩეული კარტოფილის ფასი იკითხა.  
 გამყიდველმა უთხრა, ისე წაილე, გჩუქნიო...  
 ვიდექი და ვუყურებდი,  
 როგორ ყრიდა ერთჯერად პარკში ნახევრადდამპალ მინიან ბურთულებს  
 და ვერაფრით ვერ მოვიფიქრე,  
 ჩემი პარკიდან რამდენიმე ამომელო და მისაში გადამეყარა.  
 ახლა კი სახლში ვზივარ,  
 მის დაჭმუჭნულ სახეს ვერაფრით ვიხსენებ  
 და ჭირვეული, მეტიწარა ბავშვით მეტირება.  
 დღეს ჩემს შემწვარ კარტოფილს იმ ნაცრის გემო ჰქონდა,  
 მეორე გადავრჩენის დროს რომ ამინონეს  
 და ჩითის გუდაში კარგად გამოკრული გამომატანეს...  
 თურმე, ზოგჯერ შემწვარი კარტოფილი ისევე წამლავს,  
 როგორც 4 წლის ასაკში თოვლში შემულილი სარეცხი ფხვილის ქაფქაფა სითეთრე;  
 მაშინ მსუბუქი მაინც ვიყავი,  
 მაშინ სულზე ნაცრით სავსე გუდა მაინც არ მეკიდა...  
 ის ბებო აუცილებლად უნდა ვიპოვო!

პური და მტრედები

კარადაში გამოკეტილმა ნახევარმა პურმა ობი მოიკიდა,  
 რაც იმას ნიშნავს, რომ სახლში არავინაა,  
 ან არის, მაგრამ ჭამა დაავინყდა —  
 ერთჯერადად არა, სულ დაავინყდა...  
 არაა, მართლა კარგად მახსოვს კარადაში გამომწყვდეული ნახევარი პური  
 და განა, არ ვიცი, რომ უნდა ვჭამო,  
 ისიც ვიცი, თუ არ შევჭამ, ვერ გადავრჩები,  
 მაგრამ მოწყვეტილ კიდურებს ვერაფერს ვუხერხებ,  
 პური კი ძვირადღირებული ყველივით იკიდებს ობის ახალ-ახალ ფენებს —  
 სუქდება და სუქდება,  
 იმხელა ხდება, კარადაში ველარ ეტევა,  
 სადაცაა ჩაკეტილ კარებს გამოანგრევს,  
 მოვა და გვერდით მომინებება,  
 მე კი ვეტყვი:  
 — ველარ შევჭამ, ძალა არ მეყოფა,  
 ფანჯრიდან გადახტი და შენი სხეული მტრედებს გაუყავი,  
 ეცადე, კარგად გაუმასპინძლდე —  
 იქნებ, ნახევარი დღით მაინც მოიკლან შიმშილი...  
 მეორე დილას ფანჯარასთან მტრედების ფრთების დგაფუნი მალვიძებს —  
 ვდგები...  
 გადავრჩი...  
 იმ დღიდან ყოველ დილით მოდიან ჩემს ხან ღია,  
 ხანაც დაკეტილ ფანჯარასთან მშვიერი მტრედები,  
 თითქოს ჩემგან ერთ დროს შეპირებულ ულუფას ელიან,  
 მე კი სულ მაინყვდება მათი დაპურება,  
 მზესუმზირასაც გულეებს კარგად რომ გამოვკორტნი,  
 მხოლოდ მერე მახსენდება მათი არსებობა,  
 ჩენჩოს დასაყრელად ველარ ვიმეტებ,



ამიტომ არაფერს ვუყრი,
სულ არაფერს,
ისინი კი მაინც მოფრინავენ და აივანზე დაგებულ მეთლას უნისკარტებენ,

თეზის ფსა

გაბრიელს

ისე მინდა, ჩემი ამბები მოგიყვე, შვილო!
უფრო სწორად კი: თვალეები დავხუჭოთ,
შენ მუხლებამდე კი არა, საფეთქლებამდე მწვდებოდე,

ცარცის გულეაბი

ცარცის გულეებს ჰგვანან ჩემი ანტიდეპრესანტები —
თუ არ დამავინყდა და დღეში 2-ჯერ გადავყლაპე,
სახეზე მტვერი გადამენმინდება,



ზაალ სამადაშვილი

ჯადოქარი ისლანდიდან

„მამიშურ რეალშიზმი“ რომ იწყებენ
ლაპარაკს, უმალ ესპანურენოვანი ამერ-
იკის მწერლები ახსენდება ყველას, არადა,

ჰალდორ ლაქსნესი ისლანდიელი კაცია
და მისი „თევზის კონცერტი“, დაწერილი
1956 წელს, არანაკლებ ჯადოსნურია, ვი-

ნაკითხეთ და თავად განსაჯეთ, ჯა-
დოსნურია თუ არა ამბავი ტენორ გარდარ
ჰოლმისა, რომელსაც გადმოცემით ალ-
ყირის სულთნისა და რომის პაპისთვის უმ-

ანდა, ამბავი ლანდბროტელი ქალისა,
რომელიც სიკვდილთან შესახვედრად შო-
რს, სამხრეთ ისლანდიაში ჩასულა და მას-

ანდა, ისტორია უნინდებოდ მოსიარ-
ულე მწიბავ ებენესერ დრუმანისა, ცო-
ლის, ულამაზესი ქლოას განკურნებას რომ

და კიდევ მრავალი სხვა, ისლანდიის
ბუნებასავით მკაცრი რეალობის ფონზე...

„დროშები მტვერში“

რას არ გაგაგონებენ უილიამ ფოლკ-
ნერზე ლიტერატურის „მცოდნეები“ —
გრძელი წინადადებების მოყვარულიო,

არადა, კაცი აღორძინების ხანის მხატ-
ვარივით ცხადად და ლამის სრულყოფი-
ლად აღწერს ცხოვრებას და ისეთ ამბებს

მაგალითად:

სამოქალაქო ომის დროს კონფედერატ-
ების კავალერიის ახალგაზრდა ოფიცრე-
ბი ყავას რომ მოინატრებენ და ცხელი,


ანდა:
პირველ მსოფლიო ომში ძმასთან ერ-
თად წასული და შინ კენტიდ დაბრუნებუ-
ლი უმცროსი სარტორისი დილიდან რომ

სერენადების ადრესატა შორის ერთ-
ერთის გვარი ბენბოუა. ამ გვარს სხვაგა-
ნაც გადაყრია მკითხველი, ალბათ უფრო

ამბავს კი, მტრის ზურგიდან გამოტა-
ცებული ყავადანისა და ანჩოუსების შესახ-
ებ, მოხუცი ქალბატონი ყვება.

ამ სიტყვების წარმოთქმისას მისი ხმა
ისეთი ამაყი და მშვიდი იყო, როგორც
დროშები მტვერში, დასძენს მწერალი...

„დროშები მტვერში“ მისი პირველი
რომანია.





მეომთხე ათნეული დაინყო და მეორე მსოფლიო ომში, ქერჩთან ბრძოლაში, უგზო-უკვლოდ დაკარგული ნაბოლარა ბიჭის ამბის ჯიუტი სიმშვიდით მომლოდინე ფოთოლივით გამხდარ ქალბატონს პატარა ბალიშებით ლოგინად ქცეული „ვენური“ სარწვეველა კვლავ ისე ედგა, რომ ალაყაფის კარი, ფოტოგრაფიული სიზუსტით, კომპოზიციის ცენტრში მოქცეულიყო. უჩვეულოდ გრძელი თითები ჰქონდა და ძველბერძნული ქანდაკების პროფილი, ცოტა ცუდად ესმოდა და ქარვის მუნდშტუკით ორად გატეხილ უფილტრო პაპიროსს ეწეოდა. უცხო სათვის შეუმჩნეველად, მოჭუტული თვალებით გახედავდა ხოლმე გაღებულ ზამბარაან რკინის კარს და წიგნის კითხვას აგრძელებდა. დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა: თვალებს მოჭუტავდა, სტრიქონს თითით მონიშნავდა და დაბინდულ გვირაბს გამოცდენილ ეზოს სტუმრის სილუეტს ნეგატივივით ამულავებდა, სანამ უცხო რომელიმე მეზობელთან არ შევიდოდა. მხოლოდ ამის შემდეგ ახელდა თვალებს და წიგნის კითხვას აგრძელებდა.

ერთ დროს ოჯახიანად დაპატიმრებული და, სავარაუდოდ, გადასახლებული ან დახვრეტილი, საშუალოდ, სამ-ოთხ წევრიანი ათამდე ოჯახი თბილისში ცნობილი ებრაელი კომერსანტისთვის ბოლშევიკების მიერ ჩამორთმეულ, „გაუქმებულ“, გრძელ სახლში ცხოვრობდა. ბიჭისთვის ამოცანად დარჩებოდა, როგორ არჩევდა ბებია ორმოცდაათი ნაბიჯით დაშორებულ, ნახევრად ბნელ გასასვლელში ადამიანებს, დედას რომ არ გაემხილა საიდუმლო — შავი დობერმანი რაიდა გაუნძრევლად, უხმაუროდ, უხილავი ფლუიდებით გადასცემდა სიგნალს, თუნდაც თავად შუშაბანდის მუდამ განათებულ შესასვლელ კართან ნებივრად ყოფილიყო მისვენებული. სარწვეველა დღის განმავლობაში ორჯერ ან სამჯერ ირწეოდა — ბებიას ჩაჯდომისა და ადგომისას, დანარჩენი დრო კი გაუნძრევლად იდგა ბუმბულივით მსუბუქი პატრონის ქვეშ. ბებიასთან ვერავინ ბედავდა, ეზოს თვალი და ყური რაიდა, ერთობ მოზრდილი, არაფამილარული, უცხოების მიმართ სრულიად აროგანტული არსება ძალდა მოეხსენებინა და არც არავის უჩნდებოდა ამის სურვილი, ვისაც მისი წამიერი შეთვალერება გამოეცადა. არასოდეს ყფფდა, უხმაუროდ იწვა შუშაბანდის შესასვლელ კართან და თითქოს საერთოდ არ არსებობდა.

განსაკუთრებული მეხსიერების მქონე ბებია, თავადაც მოყვარული მთარგმნელი, წიგნებით ცხოვრობდა. კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებების არა მხოლოდ სიუჟეტები, არამედ ნებისმიერი გმირის სახელი და ღირსშესანიშნავი პასაჟებიც კი ახსოვდა და საუბრისას, კონტექსტის შესაბამისად, ციტატები მოჰყავდა. სტუმრად მისული შვილები იმხანად პოპულარული საგაზეთო კროსვორდების შევსებისას ლიტერატურასთან დაკავშირებულ კითხვებს დედას უსვამდნენ, პასუხს ხმამაღლა იმეორებდნენ და კვადრატებში ზუსტად ჩატეხულ პასუხს წერდნენ, ყოველ ჯერზე მისი მეხსიერებით აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ და ნათელ გონებას უქებდნენ. ბებია არ იმჩნევდა და თავისთვის ჩაილაპარაკებდა ხოლმე, გასაკვირია, თქვენ რომ არ გახსოვთო.

მთელ კედელზე აღმართულ წიგნებით სავე შემინულ თაროებს ბებია თვეში ერთხელ გასაშლელ კიბეს მიადგამდა ხოლმე. სათითაოდ, სათუთი მოგონებებით გადმოიღებდა სქელყდიან, დროსთან დაუმარცხებელ ტექსტებს, უბედურების უკუნი წლები რომ გადაატანინეს. დახედავდა, ავტორის გვარს, ან სათაურს ჩაილაპარაკებდა, საგანგებო ქსოვილით მტვერს წმენდდა და ანბანთრიგის მიხედვით აკურატულად უკან ალაგებდა. ფოტოსურათებიან მუყაოს კოლოფს, „პანდორას ყუთს“, როგორც თვითონ ეძახდა, გარედან ასუფთავებდა. სურათების თვალთვლება არ უყვარდა, ძალას მაცლის და ძილი მერევაო, ამბობდა.

\*\*\*

ბიჭს არასოდეს უნახავს, როგორ ჭამდა ბებია. არც მაშინ შესწრებია, როცა შაბათ-კვირას ტოვებდნენ მაშინდელ ცხაკაიას ქუჩაზე.

— ასე ადრე რამ გაგაღვიძა, ბებია. დღეს სკოლა რომ არ გაქვს, წესიერად გამოგეძინა ბარემ.

თავად გარიჟრაჟე გაღვიძებულს სახლის საქმეები თითქმის დასრულებული ჰქონდა. ბოლომდე შეკრულ ლილებიან პერანგს, თბილი ჟაკეტის შიგნით რომ ეცვა, მსუბუქი სახამებლის სურნელი ასდიოდა. დიდი თავშალი მხრებზე გადმოფარებოდა და პედანტურად მონესრიგებულს თმის ერთი ღერიც არ ჰქონდა ტანსაცმელზე. ბიჭს საუზმეს უკეთებდა და გვერდით უჯდებოდა.

— შენ არ ისაუზმებ, ბებია?

— მე იმდენი ხანია, მღვიძავს, ბები, ჩემთვის მეორე დღე დაიწყო.

მანამდე აბაზანაში შეყვებოდა, გაზის „კალონკას“ ჩაურთავდა და თავზე ადგა, სანამ რამდენჯერმე ბეჯითად არ დააბანინებდა ხელ-პირს.

— ნამდვილი ტომ სოიერი ხარ. თავზე თუ არ დაგადექი, შეიძლება, ჩემ გასაგონად მოუშვა წყალი და ისე გამოხვიდე.



მამუკა ხერხეულიძე

# რაიდა

თავად დღემი რამდენჯერმე, სპეციალური სისტემით, უცნაურად დიდხანს, რიტუალურად იბანდა ხელებს — ვეება საპონი მის შეუსაბამოდ დიდ ხელეში პატარავდებოდა და ჩვეულებრივს ემსგავსებოდა. სამჯერ იქაფებდა და დინჯად, ცალცალკე, გულდასმით, ქირურგივით იმუშავებდა ხელის გულებს, ზურგს, თითების ფალანგებს, მაჯებს და ასე, თითქმის 20 წუთი.

\*\*\*

1924 წელი იდგა. უკვე საბოლოოდ გაკულაკებულ ოჯახს დილაზე უნდა დაეტოვებინა ჭიათურა — საკუთარი ხელით ნაშენები სახლ-კარი და მთელი ცხოვრების მონაგარი ერთ ურემში ჩაეტია.

ჭიათურის მალაროების აქციების მფლობელი ბატონი იოსები — ბებია ასე იხსენიებდა ბაბუას — ცხენების განთქმულ რემას ფლობდა. მისი გვარი მთელ სამეგრელო-სამურზაყანოში ცხენების აღიარებული მცოდნე და მფლობელი იყო, მათ ბედაურებს საგანგებო დადს ასვამდნენ. სოფელში დღემდე ახსოვთ ეს დადიანი ცხენები.

მალაროს აქციების გარდა ბატონი იოსებს, ინგლისელებთან ერთად, ლიმონათის ქარხანა გაუხსნია და ლიმონათი უცხოეთში გაქონდა ექსპორტზე. მდიდარი კაცი გახლდათ, პირველი ევროპული ყაიდისა და თაობის კომერსანტი — ბატონი იოსები.

ლიმონათის ქარხანა, მალაროს აქციები და პატიოსნად ნაყიდი მიწა, ლიმონათის წარმოებისთვის გაშენებული ხეხილის ბაღები, სახნავ-სათესი და საძოვრები კოლექტივმა წაიღო. ჩეკისტებს აუჩქარებლად, გაურკვეველი გრაფიკით, სადისტურად მიჰყავდათ საქონელი და, რაც მთავარია, ცხენები. ბებიას ყველას სახელი ახსოვდა. ბატონ იოსებს ერთი ინგლისური ბედაური გამოუთხოვია, საზიდარში შევებამ მარგანეცის გამოსატანადო და ბოლო სამ თვეს მუშად გამწესებულს თავისსავე მალაროდან აზიდინეს მარგანეცი.

ერთ ღამეს იოსებს ნათესავმა კაცმა მიაკითხა. უჩუმრად გადაიარა ეზო და ისედაც ავისმომასწავებელ ღამეში ბუხართან მჯდარ უძილო მასპინძელს ცუდი ამბავი უთხრა: რალა დროის, მაგრამ მართალი აღმოჩნდით... შეკრებაზე ვიყავი, იოსებ, ზეგ ჩამოდიან ქალაქიდან. დასაპატიმრებელთა სიაში ხართ და იქნებ ნახვიდეთ, ოჯახს და თავს უშველოთო.

იმ ღამესვე დაუწყიათ მზადება.

და იოსებისთვის შეუთვლია, შენც წამოდი, შენნაირი კაცი ამათ ვერ შეენვრობა და არც დაგაყენებენო.

ბებიას ლიბები და საბნები დანანებია — ურემში ბავშვებისთვის ლოგინის მაგივრობას გასწევსო, უთქვამს. ბაბუაც დათანხმებია, მანც და მანც ძვირფასი ნივთებით სიარული ამ არეულ გზებზე ისედაც სახიფათო იქნებოდა. ოთხი ახალგაღვიძებული, დაზაფრული, მაგრამ მშობლების სახეებზე ამოკითხული შფოთით რალაცას მიმხვდარი მდუმარე ბავშვი ურემზე შემოსევს. რამდენიმე ხელი ტანისამოსი, სამი ქამარ-ხანჯალი, ორი უნაგირი, რომელსაც ვერაფრით შეეღია ბაბუა, ეპისკოპოსი ბიძის დანატოვარი, რკინის სალტეებით შეკრული ბიბლია, ტყავის ყდამი ჩასმული ფსალმუნები, ძველისძველი მოზრდილი ქართული ღვთისმშობლის და პატარა მაცხოვრის ხატები...

უთენია გზას გაუდგენენ.

თხილნარიდან მომზირალი ახალგაბოლშევიკებული ნათელ-მირონი მეზობლის მტაცებელი ცხოველის თვალები დაუნახავს იოსებს. სანამ ჩეკას დაუძახებდა, იმ კაცს თავისი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი — სახლი უნდა გაეძარცვა. რაც შეძლო, ზიდა და ზიდა საოჯახო თუ საყოფაცხოვრებო ნივთები და სახლის უკან, ნალიაში, გადამალა. მხოლოდ ამის შემდეგ შეატყობინა აღმასრულებელ კომიტეტს.

ბაბუას გათვლამ გაამართლა — ხარბი კაცი გამოდგა ეს უამრავ პატივსაცემი ნათელ-მირონი ვალოდია. ერთ-ერთი პირველი ჩხრეკის დროს გასაკულაკებლად მისულმა ჩეკისტებმა სამი ცხენი მოისაკლისეს. ის სამი ცხენი მხოლოდ ვალოდიამ იცოდა.

უღელტეხილს გადასულები იყვნენ. სურამში იოსების მეგობართან გაუთევიათ ღამე. დილით მიაშურეს თბილისს, მასპინძელიც ღელავდა — თავადაც როდის მიადგებოდნენ, არ იცოდა.

გრძელი გზა იყო, დღისით პიკეტებს აწყობდნენ, ღამით კი ყაჩაღები დათარეშობდნენ. დაბინდებისას შესულან თბილისში. ნათესავებთან გაუთევიათ ღამე, დილით კი ბაბუა სამოსახლო ადგილის ძიებას შედგომია: თბილისი დიდი ქალაქია, ჯერ წესრიგი აქვთ დასამყარებელი. ჩამოსულებს ვერ ცნობენ. უამრავი პარტია და დაჯგუფება ჰყავთ მისახედი, რიგით მოქალაქეებს არ ერჩიან, ხალხის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობენ.

ბოლოს სოლოლაკში, მაშინდელ ცხაკაიას ქუჩაზე, იყიდეს მიწა და იქ დაიწყეს შენება. სახელდახელოდ პატარა, ერთსართულიანი, „ოთხი თვალი“ სახლი ააშენეს. ერთი ბოხჩა ძვირფასეულობა და ნიკოლოზის ოქროს მონეტები ჰქონდათ, გარკვეული თანხაც შერჩენოდათ.

ფული მალე გაბონდა. ოქროს მონეტებიც შემოელიათ, მერე სამკაული ტორგსინში გადაცვალეს საქმელში, მხოლოდ რამდენიმე ძალიან ძვირფასი სამკაული დაიტოვა ბებია მომავალი რძლებისათვის საჩუქრად. მერე კი ვილას ახსოვდა რამე ან ვინმე, თავის გადარჩენა გახდა მთავარი ამბავი.

\*\*\*

ყოველ დილით რუხ, გაცვეთილ, უნიფორმის პიჯაკში გამონყობილი საშუალო სიმაღლის, ძალიან გამხდარი, თბილისელი ბავშვის იერის მქონე რუსი ფოსტალიონი ჟორას მიტანილი გაზეთები ბებიას სახლში შეჰქონდა. დაკვირვებით ათვალიერებდა, რაიმე კორესპონდენცია ხომ არ იდო ახალთახალ, სტამბის სადღეავის სურნელით, სიცრუით და სიძულვილით გაჟღენთილ ქართულ-რუსულ ნომრებს შორის, რომელთაც გარედან სქელი „პრავდა“ ჰქონდა შემოკრული და იქვე, შუშაბანდში, თაროზე აწყობდა. ისეთი მსუბუქი სიძულვილით იმორებდა ხელიდან, თითქოს რამე გადამდები დაავადების მატარებელი ყოფილიყო. ამათ დანაბიჯებზე ფეხი არ დაიდგებო, ხმადაბლა ბუტბუტებდა მარტოდ დარჩენილი, როცა ბიჭის იქ ყოფნა ავიწყდებოდა. მხოლოდ ლიტერატურული გაზეთი შეჰქონდა დიდ ოთახში და კალენდრის ფუნქციასაც ასრულებდა: პარასკევი დამდგარიყო. დღესასწაულივით ელოდა შაბათ-კვირას — ერთადერთი ქალიშვილი შვილიშვილს უტოვებდა.

ბებია ხატოვნად, დრამატურგიული თანმიმდევრობით, უყვებოდა ბიჭს ჭიათურის ამბებს, ფაიფურის ჩაიდანში დაყ-



ენებულ, აფხაზეთიდან ძმისშვილების მიერ გამოგზავნილ სურნელოვან ჩაის ისხამდა თავის განუყრელ ჩაის ჭიქაში და ყვებოდა ბაბუას ცხენების შესახებ, რომელთა სახელები ბიჭმა ზეპირად იცოდა: ჰერა ყველა მარულას იგებდა! ბიჭს თითქოს ნანახი ყავდა მუქი ნაბლისფერი არაბი, სიზმარში კი მრავალჯერ უჯიროთია ამ ბედაურით.

\*\*\*

ბიჭს არასოდეს უნახავს სახლიდან გასული ბებია. ან როგორ ნახავდა, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ეზოშიც არ გაუდგამს ფეხი.

აღმართიანი ეზო ბაბუას დაგვეგმარებული და საკუთარი ხელით ნაშენები ბელეტაჟიანი სახლით მთავრდებოდა. მოპირდაპირე მხარეს უაღრესად ზრდილობიანი, უმშვიდესი სომეხი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა — დეიდა როზა და ძია სერგო. ეზოს მხარეს ერთ მწკრივად პატარა ბუჩქები, ორი პალმა და ხვიარა ჰქონდა რკინის ბადით შემოსაზღვრული ისე, რომ შუშაბანდის მხოლოდ ზედა ნაწილი მოსჩანდა და თუ მათ შესვლას ან გამოშვლას არ შეესწრებოდნენ მეზობლები, ვერც კი მიხვდებოდნენ, შინ იყვნენ თუ — არა.

მათი ორი უკანა ოთახი რუსული სკოლის და დიდი აგურის კედლებით გატყობილ, დიდი თუთის ხეებით დარჩილ ეზოს გადაყურებდა. სარეცხსაც იქით ფენდა დეიდა როზა და საძინებელიც იქით მხარეს ჰქონდათ. ძია სერგო, სამხედრო ორკესტრის ხელმძღვანელი, დილით, ერთსა და იმავე დროს, ცხრის ნახევარზე გადიოდა ოფიცრის სადღესასწაულო ფორმით, მკერდზე მბრწყინავი ორდენებით და ზუსტად შვიდის ნახევარზე ბრუნდებოდა შინ. დღესასწაულებზე ის განსაკუთრებული აღკაზმულობით — ლურჯად მოლაპლაპე ოფიცრის გამოყვანილი ჩექმებით, თეთრი ლაქის ქამარზე ელვარე ხმლითა და ასევე უთერთრესად ლაპლაპა პორტუპეით — ამაცი, მწყობრი ნაბიჯით, ნაღების რიტმული კაკუნით, ნელში გამართული გადიოდა სახლიდან ტყავის ყავისფერ შალითაში მსხლის ფორმის სასულე ინსტრუმენტი ეუფონიუმით და ზუსტად შვიდის ნახევარზე ბრუნდებოდა შინ.

ბებია მისი განრიგი ისე ზუსტად იცოდა, რომ ამ დროს თვალებს არ ჭუჭუადა და წიგნის კითხვას, ქსოვას ან მოსაუბრის სმენას არ წყვეტდა.

ბიჭს შაბათ-კვირას ზოლებიან პიჟამაში ნანახი ძია სერგო სათამაშო ოფიცერს აგონებდა.

\*\*\*


ბებია სახლიდან გასვლაზე ვერაფრით დაითანხმეს. შინ ყოფნას ისე მიჩვეულიყო, ვერც კი წარმოედგინა გარეთ გასვლა, თითქოს მტრებით გარშემორტყმულ ქალაქში, პირდაპირი მნიშვნელობით, ალყაში ცხოვრობდა. მეუღლის, სიცოცხლის ბოლომდე ბატონ იოსებად წოდებული ძვირფასი თანამეცხედრის, საფლავზეც კი ვერ წაიყვანეს — საფლავი ცუდის მეტს არაფერს მახსენებს, არაფერს მეუბნება...

ცხოვრება გრძელდებოდა. შვილები ახალ სახლებში გადავიდნენ და შვილიშვილებიც გაჩნდნენ. ქალიშვილსაც და ვაჟებსაც სამშობიაროდან ახალშობილები პირველად ბებიასთან მიჰყავდათ, ასე იყო დადგენილი. ბებია ოჯახის უფროსად რჩებოდა ისე, რომ ხმისთვის არასოდეს აუწევია და მისი სიტყვა კანონი იყო. — თავადი ფალავას ქალზე სისტემის ცვლილებას არ უმოქმედია, — ხუმრობდნენ ბიძები.

\*\*\*

60-იანი წლების ბოლოს, მას მერე, რაც ყავარჯნიანი ცალფეხა კოლია სიდამონიძე თანაფრონტელი დაკარგული მეგობრის ოჯახს ესტუმრა, ბებია რადიკალურად შეიცვალა.

კოლია გამოჩნდა და მას მერე ხშირი სტუმარი გახდა. დღისით სტუმრობდა ხოლმე. ბებია სუფრას უწყობდა, ღვინოც გაჰქონდა. ვახტანგთან დაკავშირებული ყველა დეტალი აღადგენინა ბებია, ომის დაწყებიდან ბოლომდე, როდესაც ჰოსპიტალში უგონოდ მიუყვანიათ ტანკის ჭურვის ნამსხვრევებით დაგლეჯილი კოლია და ვახტანგის გერმანელ სამხედრო ტყვეს, ექიმს, განგრენა შეუჩერებია. მუხლსზემით მოჭრილ ფეხს ვინ ჩიოდა, მეორე ფეხს



\*\*\*

ის ამპუტაციასაც გადაურჩენია და დიდი ალბათობით — სიკვდილსაც.

ბიჭი უკვე კარგად იცნობდა ამ კაცს, თავიდან უსიამოვნო გრძნობა რომ აღუძრა. კოლია — ჩანთილებული თვალებით და მრგვალი სახით — გამელოტებულ თავზე სავეთქლებიდან გადმოტანილ თმის მეჩხერ ტალავებს გულის ჯიბიდან ამოღებული წვრილი რკინის სავარცხლით ისწორებდა. ყავარჯენი სკამთან მიეყუდებინა. მუხლსზემით შეკეცილი შარვლით, ორდენებით მკერდამშვენიერული ომის ისტორიებს საინტერესოდ ჰყვებოდა, ხმადაბლა ლაპარაკობდა, დამაჯერებლად, თითოეულ სიტყვას წონიდა.

კოლიამ თავისი ისტორიაც მოყვა. ჰოსპიტლიდან განწერის შემდეგ ადგილობრივი რუსი ექთანის მოუყვანია ცოლად და მასთან ჩასახლებულა. თავად, როგორც კარგი რუსულის მცოდნეს, კანცელარიაში დაუნყია მუშაობა. სახლში დაბრუნებას არ ჩქარობდა — ოჯახის წევრები, ჯერ კიდევ ომამდე, რეპრესიებს შეეწირნენ და დედის გარდაცვალების ამბავი ჰოსპიტალში დეპეშით შეუტყვივია. რუს ექთანთან კოლიას გოგო შექენია და სტალინის გარდაცვალებიდან რამდენიმე წელიწადში საქართველოში დაბრუნებულა.

ატლანტის ოკეანის გადაღმა მცხოვრებ ომს გადარჩენილ თანამემამულეების გვარ-სახელებს ახსენებდა ხმადაბლა...



სურათი დახვდათ — შუშაბანდში, მისურულ კართან, ყავარჯენს დაყრდნობილი, ფერდაკარგული, გაშეშებული ცალფეხა კოლია იდგა. რაიდას თათები მის მხრებზე ეწყო, გერმანული ფოლადის ალესილი დაშნებებით კბილები ყელთან ახლოს მიეტანა და დაბალ ხმაზე იღრინებოდა. იატაკზე ძეხვის ნაჭერი და „ფინკა“-დ წოდებული, გრძელპირიანი, წვრილი, დასაკეცი დანა ედგო. ბებია ძალღს დაუყვავა, თუმცა, ავზადქცეული რაიდა ადგილიდან არ იძვროდა.

კაცი გაშეშებული იდგა, თითქოს უხილავი პისტოლეთი ქონდა მიბჯენილი და-ცვარულ შუბლზე, საფეთქილიდან ავარცხნილი თმა ყურზე ჩამოშლოდა და დალაპარაკებასაც ვერ ბედავდა.

სამინელი სიჩუმე ჩამოწვა ისედაც აკლამასავით მდუმარე სახლში. რალაც დიდი და ცუდი ამბავი ხდებოდა.

ბებია იქვე მდგარ სკამზე დაეშვა და ძალს ცოტა მკაცრად უხმო. რაიდა უკმაყოფილო ღრენით წამოვიდა და ისე, რომ კაცს თვალს არ აცილებდა, სკამთან მივიდა, თუმცა არ დაწოლილა.

თავზარდაცემული ბებია ხმას არ იღებდა. კაცი ადგილიდან არ იძვროდა. დრო გაჩერდა და მოულოდნელად კაცმა ისე, რომ ბებიასთვის თვალი არ გაუსწორებია, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— მაპატიეთ...

რაიდამ ღრენას მოუმატა. კაცი სასწრაფოდ დაღუმა — ისევე პროფილში იდგა, კედელს მისჩერებოდა, თავს ვერ ამოდრავებდა, მგონი, არც სუნთქავდა.

ბებია მიცვალებულივით იჯდა სკამზე. თითქოს ახლა მიუტანეს სამკუთხა ბარათი.

ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა, რაიდას საყელურში მოკიდა ხელი და კაცისთვის არც კი შეუხებავს, ისე თქვა:

— გააღე კარი და ნაღი შენ გზაზე, კოლია ხარ თუ რაც გქვია. ერთი სიტყვა აღარ გავიგონო შენი.

კაცმა სასწრაფოდ გააღო კარი და ყავარჯენით ისეთი სისწრაფით დაეშვა, ხის პატარა კიბეს თითქმის გადახტა და ხტუნვა-ხტუნვით ჩაიარა ეზო.

— ბებია, ჩემ თავს გაფიცებ, ჩვენ შორის დარჩეს ეს ამბავი...

\*\*\*

ბებია რამდენიმე თვეში ძილში გარდაიცვალა.

ბიჭს კი ოთხი ათეული წლის მერე მარტო შარში გახვეული თაღლითი, ცალფეხა კოლია გაახსენდა, სიკვდილმისჯილივით გაუქმრეველად რომ იდგა და ზამბარასავით მომართული რაიდას სკალპელივით ალესილ კბილებს კისერთან რომ გრძნობდა. ახლა ფიქრობდა, ტრანსპორტის ჯიბგირი იქნებოდა. ტრამვიდან ჩამოხტომისას დაკარგავდა ფეხს — უფროსებისგან მსმენია, ორდენები პაჩკობით იყიდებოდა შავ ბაზარზე...





— თლათი ბაბუაშენს ემგვანები!  
რამდენჯერაც შევხვდებოდი ბოლო წლებში, იმდენჯერ ამას მეტყოდა გამარჯობის პასუხად. არადა, არც თუ იშვიათად ვხვდებოდით ხოლმე — ხან მწერალთა კავშირში, ხან სხვადასხვა ლიტერატურულ თავყრილობებზე, განხილვებზე, იუბილეებზე, ამ გაუთავებელ „შეხვედრებზე, ბანკეტებზე...“, როგორც მისი ვაჟა ზაზაყვიჩი იტყოდა... თლათ ბაბუაშენს ემგვანებიო — ორკეც სიტბოს ჩააქსოვდა ცალკერძ ჩემსკენ და ცალკერძ ბაბუაჩემის სსოვნისკენ იმერულად გამოკვანძულ ამ შინაურულ მოფერებაში.

ბაბუაჩემი მიხეილ მაგლობლიშვილი — 1937 წელს რეპრესირებული, ორი ათეული წლით საზოგადო საქმეებს ჩამოცილებული და ახლადრეაბილიტირებული — 1960 წელს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილების უფროსად ანუ მთავარ რედაქტორად დანიშნეს. მისი ინიციატივით და სტუდიის იმხანად ასევე ახლადდანიშნული დირექტორის — მიხეილ კვესელავას — მხარდაჭერით გადაწყდა, რომ სოცრეალიზმით დაბორკილი ქართული კინოს ხარისხის ასამაღლებლად, სცენარების მომზადების გასაუმჯობესებლად, საქმეში ჩაერთოთ ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალთა დიდი ჯგუფი — არჩილ სულაკაური, ედიშერ ყიფიანი, მერაბ ელიოზიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, რეზო ინანიშვილი, ემზარ კვიციანიშვილი, არლი თაყაიშვილი, რეზო კვესელავა, ანზორ სალუქვაძე... სხვები და სხვები — მოკლედ, მთელი თაობა, რომლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელიც რეზო ჭეიშვილი გახლდათ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 60-იანი წლების სახელგანთქმულ ქართულ კინოს სწორედ ეს თამამი ნაბიჯი დაესაფუძვლა — ახალგაზრდა ქართველი მწერლების მონაწილეობა სცენარისტებად და რედაქტორებად. მიხეილ მაგლობლიშვილის 1961 წელს გამოქვეყნებულ ერთ სტატიაში ამოვიკითხავთ: „მკითხველი შეამჩნევდა, რომ სცენარის ავტორთა და რეჟისორთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ახალგაზრდობას უჭირავს. ახალგაზრდა შემოქმედებითი მუშაკების დიდი ნაკადი ჩვენი სტუდიის ერთ-ერთ მახასიათებლად იქცა. ეს ცინცხალი ნაკადი, დაუდევარ გაზაფხულს რომ გვაგონებს, მონოდებულია უფროსი თაობის ოსტატებთან მჭიდრო თანამშრომლობით კვლავაც განავითაროს მარად ჭაბუკი ქართული საბჭოთა კინოხელოვნება.“

მე რა? მე მაშინ 4-5 წლისა გახლდით და ბაბუას ხშირად დაყვავდი კინოსტუდიაში. ასევე ხშირად მისი უმცროსი სტუდიელი მეგობრები გვეწვეოდნენ ხოლმე ოჯახში და ეს ამბავი მთელი ჩემი ბავშვობის მანძილზე გრძელდებოდა. ამიტომაც შემომჩვენია მეხსიერების ეკრანზე ეს ადამიანები — ახალგაზრდები — შავთმაქოჩრიანები, მხიარულები, ალერსიანები, სიტყვაუხვნი და ენამახვილინი. თითოეულ მათგანს კარგად ვიცნობდი და ახლაც თვალწინ მიდგანან ჯერ ძველი კინოსტუდიის (პლენ-ანოვზე რომ იყო) და მერე ახლის (დილოში რომაა) ინტერიერებში მათი სახეები... ანდა ჩვენთან — სახლში — სუფრასთან — ამ წამს რატომღაც ასეთი ხატება ამოტივტივდა — ნოდარ დუმბაძეს კისერი გაუწვდია და თავს აქეთ-იქით ინდოელი ფაკირივით ატრიალებს — მეგობრებს იოგას ავან-ჩავანს უხსნის...

რალაც ხნის მერე ბაბუა მთავარი რედაქტორის პოსტიდან სასცენარო კოლეგიის პასუხისმგებელ მდივნად გადაიყვანეს და ამ ჩემთვის სათაყვანებელ ადამიანებს, ბაბუაჩემის უმცროს მეგობრებად რომ იწოდებოდნენ, კიდევ ერთი ელვარე პიროვნება დაემატა — აკაკი ბაქრაძე, რომელმაც მიხეილ მაგლობლიშვილი სტუდიის მთავარი რედაქტორის პოსტზე შეცვალა.

რეზო ჭეიშვილი განსაკუთრებით მიყვარდა, რადგან, ჯერ ერთი, ბაბუაჩემსაც გამორჩეული ემეგობრებოდა და და მერე კიდევ იმიტომ, რომ სხვებზე დიდხანს შერჩა კინოსტუდიას და, შესაბამისად, ურთიერთობის მეტი სტაჟი დამიგროვდა მასთან. მხიბლავდა მისი შეფარული, სუსტი ხმითა და სერიოზული სახით რომ ხუმრობდა ხოლმე, ღიმილს კი ლოყებისა და ტუჩების შესაყარზე გამოხატული სახასიათო ნაკვთებში მალავდა, თითქოს პირში ორთავ-მხარეს ალუბლის კურკები ჩაუნყვიო. სპარტაკ ბაბაშვილი მივიდოდა ხოლმე

ყოველი დეკემბრის მიწურულს აუცილებლად სარედაქციო განყოფილებაში მიმასთან, საახალწლო სუფრაზე 1 იანვრისთვის ოჯახში მიიწვევდა თავის რჩეულ რედაქტორებსა და რეჟისორებს, ბაბუაჩემს კი უეჭველად ეტყოდა, ბიჭის ნამოყვანა არ დაგავინდესო. პირველად ეს 1963 წელი რომ დგებოდა, მაშინ მოხდა, პირველი კლასის მოსწავლე გახლდით, მერე არცერთი ახალი წელი არ გამომიტოვებია და ბოლოს კი 1973 წელს დავესწარი ამ თავყრილობას, უკვე მეთექვსმეტი წელი. ხან ვინ ამშვენებდა სპარტაკის საახალწლო სუფრას და ხან ვინ, მაგრამ მე, ბაბუაჩემსა და რეზო ჭეიშვილს არცერთი შეხვედრა არ გამოვიტოვებია... ო, რა საუბრები მახსოვს, რა ხუმრობები... ცალკე მოსაგონარია.

1963 წელს რეზო ჭეიშვილის პირველი რომანი „ჩემი მეგობარი ნოდარი“ გამოვიდა და, ცხადია, ავტორის ავტოგრაფიანი ეს ნიგნი ჩვენს ოჯახშიც გაჩნდა. მალევე „ქართულ ფილმში“ მისი ეკრანიზაცია განიზრახეს და სცენარიც შეიქმნა. ფილმის რედაქტორობა ბაბუაჩემს დაევალა. არ-

რიკულ კომედიად განვსაზღვროთ. სცენარის დიალოგები ცოცხალია, კოლორიტული, სახეობრივი.

ამრიგად, სტუდიის კოლეგია მიიჩნევს, რომ სცენარი „ჩემი მეგობარი ნოდარი“ მომავალი ფილმის კარგი ლიტერატურული საფუძველია და რეკომენდაციას უწევს მის სარეჟისორო დამუშავების ეტაპზე ჩაშვებას.

ფილმის გადაღებას ხელი უფროსი თაობის გამოცდილმა რეჟისორმა, ლეგენდარული „დაკარგული სამოთხის“ შემქმნელმა დავით რონდელმა მოჰკიდა, მუსიკა რეზო ლალიძემ დაწერა... მე ფილმიც ვნახე და ნიგნიც წავიკითხე. ვერ დავმცალავ, ნიგნი გაცილებით უკეთესი მეჩვენა. 12 წლისა ვხვდებოდი და ხელოვნებაში კარგის და ცუდის გარჩევას ვცდილობდი...

სკოლის მონაფეოებაშივე წავიკითხე რეზო ჭეიშვილის მოთხრობებიც, რომელითაგან ზოგიერთმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა — „ალ-რაზაკის სიკვდილი“, „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“, „კინოგადაღება“, „გლადატორი“... ზო-

ლიტერატურას ხომ მხოლოდ ლოგიკით არ ვკითხულობთ. „დალი“ რომ ცუდი ნიგნი იყო, ეს მაინც ვერ დავიჯერე. თუმცა მართლაც არა — 17 წლის აბიტურიენტი — არამედ, როგორც მერე შევიტყვე, თვით ავტორიც მძლავრად შეურყევეა ბაქრაძის ამ გამოხმაურებას. „დალიც“ თითქოს თავადვე აეთვალნუნებინა, მის ხელახლა გამოცემას ეკრძალოდა, ერთხანს შემოქმედებითი კრიზისიც კი გადაუტანია, როგორც ეს მისი ჩანაწერებიდან ირკვევა, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ მის შემოქმედებაში გაათამაგდა და ახალ მხატვრულ სიმაღლეზე ავიდა ის რეალურში გაზავებული გროტესკულ-ფანტასტიკური სტილი, რომელმაც მაშინ ჩემზე ასეთი წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

1973 წელს სკოლა დავასრულე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი, სწორედ იმისი, რომელიც რეზო ჭეიშვილს 14 წლის წინ დაემთავრებინა. მეც ჩავები სახელგანთქმულ ახალგაზრდა მწერალთა წრისა და აღმანახ „პირველი სხვის“ საქმიანობაში.

ერთხელ, პირველ კურსზე რომ ვიყავი, უნივერსიტეტის მეზუეთე კორპუსის პირდაპირ რომ ნიგნის მალაზია იყო, იქ შევბოდილდი. კაპიკი ფული არ მქონდა, მაგრამ ნიგნის მალაზიებში ხშირად ისე, დასათვალისწინებლად, შევდიოდი ხოლმე. ვხედავ, ახლადგამოსული ნიგნი დევს თაროზე — „ქალაქში დინოზავრები დადიან“. ვიცოდი, რომ ასე „ჩემი მეგობარი ნოდარის“ განახლებულ ვერსიას ერქვა. ნიგნი თაროდან ჩამოვიღე და აღმოვაჩინე, რომ შიგ რომანის გარდა ბევრი ახალი მოთხრობაც იყო შეტანილი. უცებ მაცდური შემიჯდა, მივიხედ-მოვიხედე და ეს ვეება ტომი პალტომი ჩავმალე. ასე ჩავიდინე ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ქურდობა, დავარღვეე ღვთის მცნება, არა იპარო, თუმცა ცოტა ლენინმაც შემაგულიანა — ნიგნის ქურდი ქურდი არ არისო. ის ნაპარავი ტომი ახლაც მიდევს ნიგნის თაროზე. იქ წავიკითხე სწორედ „მინების განანილება“, „ცისფერი ხიდები“ და მივხვდი, რომ რეზო ჭეიშვილი დიდი ქართველი მწერალია.


გადავედი ფილოლოგიურის მეორე კურსზე და გავხდი ამ დიდი მწერლის სტუდენტი — მეორადი ფაკულტეტი აღმოვაჩინე უნივერსიტეტში (იყო ასეთი სწავლების ფორმა იმხანად, „სალამოს დასწრებულის“ ფორმატით — თუ სტუდენტს დღის ლექციების მერე კიდევ დამატებითი ლექციები არ დაეზარებოდა, შეეძლო, მეორე პროფესიასაც დაეფლებოდა) — სპეციალობა „კინოსასცენარო“, მავსტრო — რეზო ჭეიშვილი. სამწლიანი იყო ეს მეორადი და სამი წელი დაუზარლად დავაირობდი ლექციებზე სალამოობით. ჩემს ჯგუფში იყვნენ დათო გუჯაბიძე (შემდეგ კინოოპერატორი და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი რომ გახდა), ნანა თუთბერიძე (მომავალში ცნობილი ტელეჟურნალისტი), ან განსვენებული ზურა სოსელია (ერთხნობას ფინანსთა მინისტრის მოადგილე და მონიტორინგის სახელმწიფო სამსახურის უფროსი რომ იყო), კიდევ სხვებიც... სხვადასხვა საგანს გვიკითხავდნენ საინტერესო ლექციონები — ტატა თვალჭურჭელი, სანდრო თუმშალიშვილი, ბეგო ბეგუშაშვილი, მაგრამ სპეციალობას, ანუ კინოსცენარისტობას თვით ბატონი რეზო ჭეიშვილი გვასწავლიდა, გვესაუბრებოდა, გვიამბობდა, გვანერინებდა, გვისწორებდა... ერთი ჩემი საკურსო ნამუშევარი წლების შემდეგ ჟურნალ „მნათობში“ გამოვექვეყნე, ხოლო სადამლომოდ ანატოლ ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ“ გადმოვაქართულე, მოქმედება რევოლუციისდროინდელ საქართველოში გადმოვიტანე და ოსტატის მონივნებაც დავიმსახურე. იმჟამად ეთიოპია ეკრანიზაციაზე მუშაობდა და თვითონაც შევხვალა-სთან ერთად „სამანიშვილის დედინაცვალს“ უპირებდა კინოფილმად გარდაქმნას.

ის სამი წელიც მალე გავიდა და, როგორც დიდი ხნის მერე ერთხელ თავის დღიურში მომიხსენია, მისი ნასტუდენტარი გავხდი.

1977 წელს მოხდა ეს. ბაბუაჩემი მიხეილ მაგლობლიშვილიც იმ წელს გარდაიცვალა. სხვათა შორის — სპარტაკ ბაბაშვილიც...

ხოლო ბატონმა რეზომ სწორედ იმხანად წამოიწყო თავისი შემდგომ სახელგანთქმული დღიურების წერა. თითქმის

## მიხეილ ანთაძე ნასტუდენტარის მემუარი



ქვის შემორჩა მისივე დანერლი სარედაქციო დასკვნა-რეცენზია, რომელშიც ვკითხულობთ, რომ სცენარი „ზედმეტი თავმობაბეზრებული დიდაქტიკის გარეშე ასახავს ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრებასა და მისწრაფებებს, მოგვითხრობს ჩვენს ახალგაზრდა თანამედროვეებზე, მათს შრომით და მორალურ ღირსებებზე, რომლებიც შრომასთან, მეგობრობასთან, სიყვარულთან და ადამიანური ურთიერთობების სინამდესთან წრფელი დამოკიდებულებით მოიპოვეს. სცენარი ამოცანად ისახავს იოლი და უწყალო არსებობის ცდუნების დაძლევის, პატიოსანი, ნათელი გზის არჩევის აუცილებლობას. ადამიანმა დედამიწაზე კეთილი კვალი უნდა დატოვოს. პერსონაჟები: გივი, ნოდარი, ია, ბუხუტი, გოგია, ბანოჯა, ტიტე ცოცხალი საღვთავებოთა დახატული. მათი ქმედება წინასწარ მოცემული სქემით კი არ ვითარდება, არამედ დამოკიდებულია ხასიათის ღრმად ინდივიდუალურ და თავისებურ თვისებებზე. ამიტომაც გმირების სულიერი სამყარო დამაჯერებლად და მართლად გამოიყურება. ქალაქი აია, ანუ ქუთაისი სცენარის კიდევ ერთი მოქმედი პირია თავისი დინოზავრების ნაკვალავით, კარსტული მღვიმეებით და ისტორიულ ძეგლთა ნანგრევებით, ქალაქში დარჩენილი ერთადერთი ფაქტორით... მოხუცი მეცნიერი პეტრე ჭაბუკიანი თითქოს სიმბოლურ ძაფს ავლებს ამ ქალაქის წარსულსა და დღევანდელს შორის. სცენარში იგრძნობა ეროვნული თავისთავადობით შეფერილი თბილი იუმორის ნაკადი, რომელიც ლირიკულ და სევდიან მოტივებთანაც კი მეზობლობს და საერთო დამაჯერებელ ემოციონალურ ტონალობასთან შერწყმით თავისებური მშვენიერება შემოაქვს. ეს საშუალებას გვაძლევს, ფილმის ყანრი ლი-

გიერთი მათგანის მიხედვით ფილმებიც გადაიღეს — ბაბუას მუდამ დაყვავდი კინოსტუდიაში ახალი ფილმების მასალის გასინჯვაზე, დასრულებული სურათების ჩაბარებაზე, პრემიერებზე. არაფერს ვტოვებდით, თანაც იმხანად ბევრს ვკითხულობდი, მათ შორის თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებსაც და, ცხადია, განსაკუთრებით იმასაც, ვისაც პირადად ვიცნობდი, ვისთან ერთადაც სუფრასთან ვმჯდარვარ ან „ქართული ფილმის“ სარედაქციო განყოფილების სამუშაო კაბინეტებში მისაუბრია — რეზო ინანიშვილის, ნოდარ დუმბაძის, მერაბ ელიოზიშვილის, რეზო ჭეიშვილისა და სხვათა თხზულებებს.

სკოლას რომ ვამთავრებდი, იმ წელს მისი მეორე რომანი — „დალი“ — დაიბეჭდა ჟურნალში, წავიკითხე და ამ ნაწარმოებმა ჩემზე გამოგნებული შთაბეჭდილება დატოვა. მარტო ის კი არა, რომ ძალიან მომეწონა, საერთოდაც ამგვარი რამ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არ შემხვედროდა — ეს აღარ იყო მსუბუქი და გულწრფელი რეალისტური თხრობა, რომელსაც 60-იანელმა პროზაიკოსებმაც მათ შორის თვითონ რეზო ჭეიშვილმაც მიგვაჩვიეს. აქ რეალობა რაღაცა უცნაურად, ძლივსშესამჩნევად დეფორმირდებოდა, არც გროტესკი იყო, არც ფენტეზი, სინამდვილე აისახებოდა, მაგრამ ამ სინამდვილის სიღრმეში კიდევ რაღაც მოუხელთებელი განზომილება ილანდებოდა. ჩემი ადფრთოვანება ბაბუასაც გაუზიარე, მაგრამ მერე, სულ მალე, „დალის“ მკვეთრად უარყოფითი რეცენზიით აკაკი ბაქრაძე გამოეხმაურა. მისი გამანადგურებელი სტატია რომ წავიკითხე, დავიბნე. კრიტიკა უტყუარი, ბაქრაძისეული ლოგიკით იყო გაამაგრებული, რომელსაც რომ არ დათახნებოდი, ძნელი გახლდათ, მაგრამ



ოთხი ათეული წლის განმავლობაში აღბეჭდავდა შთაბეჭდილებებს და აზრებს საგანგებო რეჟიმებში, რომლებსაც ბოლოს სათაურად „გადანახული ჩანაწერები“ დაერქვა. ქრონოლოგიას წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში რეზო ჭეიშვილი ამ დღიურების გამომხვევებას გადაწყვიტა და კიდევაც დაიწყო მათ გამოქვეყნებას მის მიერვე დაარსებულ ლიტერატურულ ჟურნალ „მწვანეყვავილაში“ და ეს პუბლიკაცია წლების მანძილზე გაიჭიმება ნომრიდან ნომრში და მისი გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდება. თავს ვერ დავდებ, ჟურნალის არცერთი ნომერი არ გამომჩენია-მეთქი, მაგრამ მათი უმრავლესობა ბატონების — როსტომ ჩხეიძისა და ელგუჯა თავბერიძის — წყალობით ჩემამდე აღწევდა და მეც დიდი ხალისით ვკითხულობდი ამ „გადანახულ ჩანაწერებს“, რადგან ისეთი შეგრძობა მქონდა, რომ ეს დღიურები არა მარტო მათი ჩანაწერის, არამედ ჩემ მიერ გამოვლილ წლებსაც აღწერდნენ.

„გადანახული ჩანაწერები“ წიგნადაც დაისტამბა, უფრო სწორად, თუ არ ვცდები, ორტომეულად, მაგრამ ეს წიგნი, ჩემდა სამწუხაროდ, ვერცხდა ვიძოვ. სამაგიეროდ როსტომ ჩხეიძის შესანიშნავი ბიოგრაფიული რომანი რომ გამოვიდა რეზო ჭეიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, სათაურით — „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“ — ამ გარგანტუას ზომის წიგნს ხარბად მივეძლე რეკორდულად მოკლე დროში წავიკითხე. იქვე დავთვალი, რომ თავის დღიურებში რეზო ჭეიშვილს ბაბუაჩემი მიხეილ მგალობლიშვილი 20-ჯერ თუ მეტჯერ ჰყავს გახსენებული.

ერთი ამბავი მეც მომაგონდა, ჩემი ბავშვობისდროინდელი — სამსახურიდან შინ მოსულმა ბაბუამ მხიარულად გვიამბო, სტუდიის ბიჭები ბევრი ვაცინე, ვუთხარი, ვოცნებობ ერთი „იაშჩიკი“ ფული რომ მქონდეს-მეთქი. რას უზამდი მაგ ფულსო, მკითხეს და ვუთხარი, თქვენ დაგირიგებდით, მე კი მაღალ მთაზე ქოხს ავიგებდი და იქიდან დურბინდით დავაკვირდებოდი, აბა, ერთი რას იზამდით, როგორ მოიხმარდით-მეთქი. ბევრი იხიხითესო.

ეს ეპიზოდი რეზო ჭეიშვილს ერთხელ მოჰგონებია და დღიურში ჩაუწერია, იქიდან კი მერე როსტომის რომანშიც ამოუყვია თავი.

ანდა მეორე ამბავი რად ღირს, ერთხელაც ჭმუნვა რომ მოსძალებია, ნუთუ ტყუილში უნდა დავასრულო სიცოცხლეო. დიდი, გრანდიოზული ტყუილი რომ იყო საბჭოთა კავშირი და იქ მცხოვრები ყოველი ადამიანის ცხოვრების ყოველი დღე და საათი რომ ტყუილის მორევში იყო ჩახვეული, ამაზე ფიქრმაც მიმა მგალობლიშვილი გაახსენა თურმე რეზო ჭეიშვილს (აქ როსტომ ჩხეიძის წიგნიდან შესაბამისი ადგილის ციტირება ვგებია): „მიხეილ მგალობლიშვილის ნათქვამი გახლდათ და როგორ დაეკარგა ცხოვრებისთვის? რას ირწმუნებოდა ამისთანას და: არ არსებობდა დედამიწის ისტორიაში ამნაირი დრო, არცერთ ფორმაციაში, არცერთ სახელმწიფოში გაჩენიდან დღემდე ადამიანები ამნაირად არ მოუქცევიათ, არ დაუსაჭურნიებიათ. იყო დრო, ეპოქა, სახელმწიფო, როდესაც და სადაც არ ჰქონდა მოქალაქეს უფლება მშაიო, — ეთქვა, მაგრამ მშაიერი კაცი რომ გამოეყვანათ და ეძახებინათ: მაძღარი ვარო, ისტორიას არ ახსოვსო. მართლაც, 1937-38 წლებში, ყოველ შემთხვევაში, ომამდე შექმნილიყო ეს სიმღერა, მე სხვა ქვეყანა არ ვიცი, სადაც ასე თავისუფლად სუნთქავს ადამიანიო. მასობრივი რეპრესიების ჟამს ამღერებდნენ ადამიანებს ამ სიმღერას. სტალინის დროს სიმართლის თქმა კი არა, ფიქრიც აიკრძალებოდა... ყველაფერი შეიძლება ამ ქვეყანაში სიმართლის თქმის გარდა. ტყუილი, ტყუილი პრესაში, ტელევიზიაში, სამსახურში, ყველა ოფიციალურ ინსტანციაში...“

მიხეილ მგალობლიშვილის ეს განსჯა — სსრკ რომ ცრუთა ქვეყანა იყო — პოპულარული საბჭოთა ფილმიდან აულერებული დუნაევსკის ამ ცნობილი სიმღერის მოხმობით — მეც მახსოვს, ჩემთანაც უსაუბრია ბაბუას ზედმიწევნით იგივე, მხოლოდ ერთი დეტალი გამორჩენია თავის ჩანაწერში რეზო ჭეიშვილს ან გამოუტოვებია, რადგან, მე მგონი, ბაბუაჩემი მასაც ეტყოდა ამ ტირადას დასასრულს, რაც ჩემს მესხიერებაში ნათლად აღიბეჭდა —

37 წლის რეპრესირებული ციმიბრის კატორღში ჩუმრუმად ამ სიმღერის ტექსტს ვასხვავებდით — ორიგინალში ითქმოდა — „Я другой такой страны не знаю, где так вольно дышит человек“, — ჩვენ კი სიტყვას — „дышит“ — „სუნთქავს“ ვანაცვლებდით სიტყვით „душат“ — „აღრზობენ, სულს უზუთავენ“ — და ასე ვლინებდით — „Я другой такой страны не знаю, где так вольно душат человека“ — ო.

„ერთხელ წიგნის მალაზიაში გერცენის „ნაწყო და ფიქრები“ მოხვედებოდა ხელთ რეზოს, შეიძენდა და ესეც მიხეილ მგალობლიშვილს მოაგონებდა — ის ეძებდა ხოლმე ამ წიგნს და რეზოსაც მისგან ჩაჰყვებოდა ინტერესი.“

როსტომ ჩხეიძის წიგნში ერთი დიდებული ეპიზოდი, რომლის შესახებ მანამდე არ ვიცოდი — ერთხელ პოლიკარპე კაკაბაძე დაპატიჟებდა რეზო ჭეიშვილს, მიხეილ მგალობლიშვილსა და პავლე ინგოროყვას. დამსხდარან თურმე ფუნქციური-ორზე, მაგრამ რეზოს ასაკით უფროსი ადამიანების თანამეინახეობა ამ სუფრაზე გაბეზრებია, მოწყენით რა მეღონა, აღარ ვიცოდით, ასე ჩაუწერია ეს მოგონება. მე კი ახლა, წლების გადასახედოდან, გული მწყდება, ეს შემთხვევა რომ გამომჩენია ბავშვობაში და ბაბუას ამ კამპანიაში არ (უფრო ვერ) ნაფუყვანივარ ისე, როგორც სპარტაკ ბაღაშვილის წვეულებებზე დაყვავი ხოლმე... პოლიკარპე კაკაბაძეს ხშირად ვხვდებოდი, მაგრამ პავლე ინგოროყვას ვაცნობის მანძილ კი დამიკარგავს.

დღიურში ერთგან თავის ახალგაზრდობას რომ იგონებს, ჩამოთვლის იმათ სახელებს, ვინც 60-იანი წლების დამდეგს კინოსტუდია „ქართულ ფილმი“ მოიყარათ: ვინ აღარ, რა ხალხი — ვახტანგ ჭყელიძე, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ დუმბაძე, სიმონ ჩიქოვანი, ანზორ სალუქვაძე, გიგლა ხუბაშვილი, ოთარ კუპრაძე, რეზო ინანიშვილი — ეს მწერლები და არამწერლები — მიშა მგალობლიშვილი, საშა მახარაძე, გივი ბარათაშვილი, მერაბ სარალიძე... სხვა ჩანაწერში კინოსტუდიის მეორე კრთულზე რავლა განსვენებულ ადამიანებს მოაგონებდა — მიხეილ კვესელავას, მიხეილ მგალობლიშვილს, ოთარ კუპრაძეს, დავით რონდელს, შოთა მანაგაძეს და სხვებსაც. კედლებზე ბევრი მათგანის სურათი ეკიდა და რეზოს დღიურში ჩაუწინავეს, მიხეილ მგალობლიშვილის სურათიც უნდა ეკიდოს აქ წესით... ელდარ შენგელაიას უნდა ვუთხრა, ეგებ ეს უყურადღებობა გამოსწორებინოსო...

1984 წლის 5 სექტემბრის ჩანაწერში კიდევ ერთი ამბავი შევიტყვი, რომლის შესახებაც არ ვიცოდი (კვლავ როსტომ ჩხეიძის წიგნს დავიხსენებ): „როდესაც მიხეილ მგალობლიშვილს რეაბილიტაციის საბუთს მისცემდნენ, 1937 წლის საბრალდებო დოკუმენტებსაც ვააცნობდნენ და აჩვენებდნენ დასაჭერი ხალხის სიას... უმრავლესობას იმ სიით დაიჭერდნენ, გადასახლებდნენ და დახვრტავდნენ კიდევ. ზოგიერთს კი — მათ შორის დოღო ანთაძესა და შალვა დადიანს — საერთოდ არ შეეხებოდნენ. როგორც კი სამხედრო პროკურატურიდან გამოვიდოდა მიხეილ მგალობლიშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე შეხვებოდა და მას მოუყვებოდა, რაც ენახა და ნაეკითხა. აღელვებული პოლიკარპე მწერალთა კავშირში გაიქცეოდა და საქვეყნოდ გაავრცელებდა ამ ამბავს.“ დოღო ანთაძე სასწრაფოდ მივარდნილიყო მიხეილ მგალობლიშვილთან და „მიშა, მითხარი, რა სიაში ვიყავი და რატომ არ დამიჭერს? რა სიაში იყო, ამას კი დაუზუსტებდა, მაგრამ რატომ არ დაეჭირათ, აბა, საიდან ეცოდინებოდა... რეჟისორს კი ისე აუკანკალდებოდა გული, თითქოს ესაა უნდა მოადგენ, ის გამორჩენა არ აპატიონ და კიდევ გაუყენოს შორეულ გზასო...“

რეზო ჭეიშვილის „ჩანაწერებში“ აღწერილი ეს ამბავი, ძნელი გამოსათვლელი არაა, 1956 წელს მომხდარა, ჩემს დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე.

არადა, არ ვიცოდი, აგერ, აი, როსტომის წიგნში ამოვიკითხე.

1937 წლის ამბავი კი მიხეილ მგალობლიშვილმა მემუარად დაწერა და მიანდერდა, როცა დრო დადგება, გამოაქვეყნეო. ეს დრო იმაზე ადრე დადგა, ვიდრე თვითონ ან სხვა ვინმე წარმოდგენდა და ჯერ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა „1937“, მერე კი ცალკე წიგნადაც გამოიცა. თავის ჩანაწერებში რეზო

ჭეიშვილი ამ პუბლიკაციასაც ვრცლად გამოეხსენა.

„ცისფერმა მთებმა“ ჯერ საქართველოს, მერე კი საბჭოეთის, ევროპისა და ამერიკის ეკრანები დიდებით ჩამოიარა. ავტორებს — რეზო ჭეიშვილსა და ელდარ შენგელაიას დიდი წარმატება და აღიარება მოუტანა.

წიგნადაც დიდებული ნაწარმოებია „ცისფერი მთები“ — თავიდან მომცრო მოთხრობით — „ცისფერი ხიდეებით“ რომ დაიწყო, რომელიც იმ ჩემს მოპარულ წიგნში იყო დასტამბული, მერე კი გაიზარდა, ცალკე კინოდრამატურგიის, ცალკე ბელეტრისტული რომანის ბრწყინვალე ნიმუშად გადაიქცა. როდესაც ამ ნაწარმოების ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟში — ვასო ჩორგოლაშვილში, რომლის ამაო და კატეგორიული მოთხოვნა — ეს უნიჭო „გრენლანდია“ გაიტანეთო — მთელ ნაწარმოებს რეფერენად გასდევს — მეც და ბევრმა სხვაშემცემი მიხეილ მგალობლიშვილის იერსახე ამოვიკითხეთ, რეზო ჭეიშვილმა არც უარყო და არც დაადასტურა მისი პროტოტიპობა. ეგ არის მხოლოდ, იმ ხნიდან მოყოლებული, სადაც არ უნდა შეხვებდოდით — კინოსტუდიაში, მწერალთა კავშირში, ქუჩაში — აუცილებლად მეტყობოდა თავშეკავებული ალერსით — „თლათ ბაბუაშენს ემგვანები“.

მოკლედ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მეც კინოსტუდიაში დავიწყებ მუშაობა. იმხანად დაიბეჭდა და ნავიკითხე რეზო ჭეიშვილის „კვამლი“ და ამ შედეგის დამახასიათებელმა სინტაქსურმა ჯადო-მაგიამ ავტორი სიტყვაკაზმულობის დიდოსტატად, ნამდვილ ჯადოქრად მიმაჩვენა. მას კიდევ მოჰყვა „ჭა“, „ბერსათრიალა“, „კომპოზიტორი ჩირიბერიძე“ და ამგვარი „საბჭოეთის მაგიური რეალიზმის“ სხვა არაერთი შესანიშნავი ნიმუში.

დრო გადიოდა და თქვენი მონა-მორჩილიც შეუდგა სამწერლო ასპარეზზე კრედიტის გროვებას — ვიბეჭდებოდა „ცისკარს“ და „მნათობში“, გამოვეცი პირველი რომანი და მოთხრობების პირველი კრებული. ჰოდა, ერთხელ ბატონმა აგი აბაშიძემ — შესანიშნავმა ლიტერატორმა და ფრიად პატივსაცემმა პიროვნებამ — შემაქო და რეზო ჭეიშვილს შემადარა: ამ ბოლო დროს რაც ახალი წავიკითხე ჩვენს პერიოდიკაში, რეზო ჭეიშვილის მოთხრობები მიმეწონა და ახლა შენც ყოჩაღ, მაგ კლასში გადიხარ, რეზოსავით კარგად წერო. სიამაყით ალვივსე და, უნდა გითხრათ, ამ შეფასებას რომ ვიხსენებ, დღემდე ბავშვივით მიხარია.

80-იან წლებში რეზო თაბუკაშვილის თაოსნობით კინოსტუდია „ქართულ ფილმი“ მწერალთა შემოქმედებით გაერთიანება დაარსდა, რომელიც კინოცხოვრებასთან დაახლოვებულმა ყველა თაობის ლიტერატორმა მოიყარა თავი. შეხვედრები ხუთშაბათობით იმართებოდა ხოლმე. ო, რამდენი საინტერესო ამბავი მოითხრობოდა ამ შეხვედრებზე. ერთხელ რეზო ჭეიშვილმა გვიამბო ერთი ქუთაისელი მდიდარი ქსენოფობის ტრაგიკომიკური ისტორია, განსაკუთრებული ცინიზმითა და ზიზლით სომხების მიმართ რომ ყოფილა გამსჭვალული და ერთ მშვენიერ დღეს რომ გაუცხადებოდა, რომ თვითონ ყოფილიყო სუფთა სისხლის სომეხი, ქართველთაგან ნაშვილები. ამის შემდეგ მთელი ოცი წელი ვადევნებდი თვალყურს რეზო ჭეიშვილის შემოქმედებას, აბა, ვნახო, ეს ამბავი ხომ არ დაუწერია-მეთქი და 2004 წელს ველარ მოვიტონე, მისი მონათხრობი მოთხრობდა დავწერე და ჯერ პერიოდიკაში გამოვაქვეყნე, მერე კი პროზაულ კრებულშიაც შევიტანე.

გორბაჩოვის პერესტროიკა ლოგიკურ დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც რეზო ჭეიშვილი ქუთაისის ლიტერატურული ფორუმის „განათიადის“ მთავარ რედაქტორად დაინიშნა. დიდ პატივად მიმაჩნია, რომ მისი ხელმძღვანელობით გამოსულ ერთ-ერთ პირველ ნომერში ჩემი მოთხრობაცაა გამოქვეყნებული.

თვითონ ჩემი პერსონა რეზო ჭეიშვილის „გადანახული ჩანაწერებში“ და შესაბამისად როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში ორგზის ილანდება.

პირველი შემთხვევა 80-იანი წლების იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ მისი მაშინდელი რედაქტორის პაატა ნაცვლიშვილის მიწვევით ლიტერატურული მიმოხილვე-

ლი გაეხდა. ჰოდა, ავიღე და პირველსავე ჩემს მიმოხილვაში ერთ-ერთ ლიტერატურულ დაკა-დაკაში შევრგვათავე — დღევანდელი გადასახედიდან ამას არასდიდებით არ ჩავიდენდი, მაგრამ მაშინ ახალგაზრდული შეუბრალებლობით დავესხი თავს უფროს ადამიანს — მწერალ რეზო ჯაფარიძეს. რეზო ჭეიშვილი ამ პოლემიკას თურმე თვალყურს ადევნებდა და დღიურში ჩანაწერებსაც აკეთებდა. დიდი სიამტკიბილობა არც ერთმანეთში ჰქონიათ ამ ორ რეზოს. ერთხელაც, 1985 წლის „13 ივლისის შეხვედრობა რევაზ ჯაფარიძე რუსთაველზე, შემნახველ სალაროსთან, ის შეეგებებოდა კარგად შეეგებებოდა და... გამორეზობით ცივად გამოვრდებოდა. და რეზოს მოტეხილი მოეჩვენებოდა და ივარაუდებდა: „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა მიხეილ ანთაძის — ჩემი ნასტუდენტარიაო — წერილმა გატეხაო.“ როსტომ ჩხეიძე თავის წიგნში ამ ლიტერატურული დავის ამბავს საკმაოდ დანვირდებით კიდევ რამდენიმე აბზაცში მიმოხილავს.

მეორე ეპიზოდი კი 1993 წლისაა ანუ უკვე დამოუკიდებელ საქართველოს ეხება და იმდენად მცირეა, რომ სჯობს, მთლიანად როსტომ ჩხეიძის წიგნიდან მოვიწერო. იმხანად რეზოს მოთხრობა „სულდანი ვარსკვლავი“ გამოქვეყნებულიყო. მწერალთა კავშირის შენობაში „4 ივნისის კაბინეტში“ ნუგზარ შატაიძე და მიხეილ ანთაძე ესტუმრებოდნენ და „კუდიან ვარსკვლავს“ შეუქებდნენ. ვილაც კითხულობდა მაინც!...“

ჰო, ეტყობა, გაუხარდა ეს ამბავი და, მგონი, მაშინ მითხრა პირველად, თლათ ბაბუაშენს ემგვანებიო, შეიძლება მანამ მითხრა, სანამ მოთხრობას შეეუქებდი — სწორედ იმხანად თვალმისაცემად გავმელოტი ბაბუაჩემ მიმსავით.

ამის მერე ყოველთვის მეუბნებოდა ხოლმე, როცა და საცა არ უნდა შეხვებდოდით.

2014 წლის 19 ივნისს ჟურნალ „ჩვენი მწერლობისა“ და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ტრადიციულ ლიტერატურულ შეხვედრაზე, ამ შეხვედრების თაოსანმა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ რეზო ჭეიშვილის ერთი მოთხრობის კითხვა-განხილვა ჩაიფიქრა, თან რომ ავტორთან მკითხველის შეხვედრის საუკეთესო საბაბი უნდა გამხდარიყო. მოთხრობაც დასახებულა — „მინიწილ განანაილება“. მსახიობის შერჩევა კი მე დამეცავა და გამოვიდოდა არტისტს, ჩინებულ მკითხველს — მერაბ შარიქაძეს გაუწიე რეკომენდაცია. დიდებული საღამო გამოვიდა. სატირულ-ფილოსოფიურმა ნაწარმოებმა ერთხელ კიდევ გვაცინა და დავგავიქრა. მერე სიტყვით გამომსვლელი ჩამოვირდი, მწერალს მაღლი ვუძღვევით. ბოლოს თვითონაც წავიკითხა რაღაც-რაღაცები. ამ დაუფინყარი საღამოს ამსახველი ბევრი ფოტო შემოინახა „ჩვენი მწერლობის“ არქივში.

კარგად მახსოვს, მაშინაც მითხრა ის სიტყვები. ერთი წლის მერეც, 2015 წლის 10 ივნისს, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ლეგენდარული ალმანახის „პირველი სხივის“ 65-წლოვან იუბილეზეც. იმხანად სელფები ახალი ხილი იყო და მეც გადავიღე. უხარისხო კი გამოვიდა სურათი, მაგრამ მაინც გარკვევით ჩანს, რეზო ჭეიშვილის გვერდით რომ ვზივარ.

მერე იყო და ჟურნალმა „მწვანეყვავილაში“ „გადანახული ჩანაწერების“ გამოქვეყნება დაიწყო და ნომრიდან ნომერში ხარბად ვენაფებოდი იმ ან უკვე შორეული წარსულის ამსახველ და მონატრების მომგვრელ მოგონებებს.

უკანასკნელად ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში შეხვდი რეზო ჭეიშვილს, რაღაც წიგნიერ ღონისძიებაზე. პირველად მოხდა, რომ ერთობ მობერებულ მიჩვენა. ბაბუაჩემთან ჩემს მსგავსებაზეც პირველად არ გამეხუმრა. გადავეხვიე და ჩავჩურჩულე, ძია რეზო, შენ ჩემთვის უდიდესი მწერალი ხარ-მეთქი. შეხვდე და მის მუდამ მოღიმარე თვალზე პირველად დავინახე ცრემლი...

გამოთხოვების ცრემლი გამოდგა.

და ბოლოს — რეკორდული სისწრაფით ნავიკითხე როსტომ ჩხეიძის გოლიათური ზომის ბიოგრაფიული რომანი „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“... და ერთხელაც ჩამიქროლა განვლილმა ეპოქამ, რომელშიც ჩემთან, თქვენთან და სხვა ყველასთან ერთად რეზო ჭეიშვილი ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და წერდა...



მე მიჰყვარს ირაკლი მახარაძის უბრალო ენით და გულიანად დაწერილი წიგნები: „გურული ფირალები“; „კანკი“; „გურიის რესპუბლიკა“; „ერთი მუჭა ვესთერნი“; „დიადი მუნჯი“; „ველური დასავლეთის მხედრები“. რამდენი საინტერესო რამე შეეძლება ამ ხშირად სისხლიანი, მაგრამ გემრიელად მოყოლილი ამბებიდან?! რომ კოვბოების სნაიპერული სიზუსტის სროლები და დასწრებაზე გამართული დუელი იხეთივე ლეგენდაა, როგორც დიდგორის ბრძოლაში მანგლისის ხეობაში დატყეული სამასი ათასი სელჩუკი; რომ კოვბოებზე ბევრად მაგრად გურული ფირალი დათიკო შევარდნაძე ისროდა; რომ ჯოზეფ კონრადის მოთხრობას — „დუელს“ (რომლის მიხედვითაც ოლივერ სტონმა ფილმი გადაიღო და როგორც ფარიკაობის ექსპერტები დღემდე ამბობენ, თუ სადმე ნაღდი ხმალობა გაკეთებულა, სწორედ მანდ წერილი დაშნებით ორთაბრძოლებიაო) — ქართული ანალოგი ჰქონდა, სადაც გერმანელ თავადათა, ვიტგენშტეინთა რუსეთში დასახლებული მთა-მთავლები, დედით დადიანი, სამეგრელოში გაზრდილი ორი ძმა ალექსანდრე და დროგოლი, მეტსახელად გრეცკო, სამკვდრად გადაეკიდნენ იარაღში დაბერებულ ორმოცდათორმეტი წლის რუს პოლკოვნიკ მაკსიმოვს, რომელმაც ერთ დუელში ალექსანდრე მოკლა ტყვეობით, მეორეში გრეცკო დაჭრა ხმლით, მერე კი ვიტგენშტეინების ნათესავის გამოწვევას რუსეთ-იაპონიის ომში გაერიდა სახლს კარზე მიღურსმული წერილით, ვისაც ჩემგან სატისფაქციის მიღება სურს, შეუძლია, გამოწყვესო. მაქსიმოვი პირველსავე ბრძოლაში მოკლეს და ამიტომ აღარ გაუგია, რომ ჭრილობამოშუშებული გრეცკო თავადაც მოხალისედ ჩაენერა იაპონიის ომში.



ლადო კილასონია

### კინოდ ვერძეული ვისტარების სასაფლაო

ამიტომ ისტორიკოსი ძნელად ენდობოდა ასეთ ამბებს (და როგორც წლების შემდეგ გავიგე, მოგონებებსაც, რომლებიც ისტორიული სიმართლის დასადგენად, მიზეზთა გამო, ყველაზე ნაკლებ სანდო წყარო ყოფილა), მაგრამ მე მარტო დიპლომით ვიყავი ისტორიკოსი, ყოველთვის გამოვინიღი უფრო მიზიდავდა, ამ რეველებში კი ისეთი ამბები ეწერა, იმის არაფერიდან ამომქარგველი ნიჭიერი მწერალი უნდა ყოფილიყო.

ჰოდა, გავყვევი მატიანეებს. აბა, იქ იყო თუ იყო: სროლები, სხარტი გონებები, გიჟური თავგანწირვები. მართალია, ყველაფერი ეს ბოლშევიკებისთვის ხელსაყრელ ნაბიჯად გამოხვეული, მაგრამ რომელი მატიანეა, სადაც სიმართლე შენი გონებით არ უნდა ეძებო?

ვისლა ახსოვდა, რომ თვითონ მინდოდა რაღაცის დაწერა, ვიჯექი და ვკითხულობდი. როგორც ვთქვი, ამ მატიანეებიდან არაფერი დამამახსოვრდა ერთის გარდა: გადავშალე და ამ სროლებში, ციხეების დაცემაში, ლოზუნგებში და სახალხო გამოსვლებში, უცებ წერია: „სხვანაირად ჩუმი კაცი გარსო მამაცაშვილი“.

ჯერ გვარი ნახე?! თან ჩვენთან ეს „სხვანაირი“ ყოველთვის მართლა რაღაცა სხვანაირს ნიშნავს! მიდი და ნუ დაგაინტერესებს?

მეც ჩაუფუჯექი და შევიტყვე, რომ ყოფილა ასეთი კაცი — გიორგი თათუზოვი. რკინიგზის სახელოსნოში მუშაობდა, ხელცივი, საშიში კაცი, რამდენჯერმე დაპატიმრებული, მაგრამ სულ მშრალად გამოსული, თან სოციალ-დემოკრატების ტერორისტი და თან კიდევ უპარტიო, ვინც ფულს გადაუხდიდა, იმის დავალების შემსრულებელი, თავზეხელაღებული და მსროლელი. 1906 წელს ჟანდარმერიამ თათუზოვი სახლში აიყვანა, გაჩხრიკა და ბომბები უპოვა. თათუზოვი ჭკვიანი კაცი იყო და რევოლუციისთვის თავის შეკლას, უმაღლესად უპოვო.



ამ წიგნებიდანვე გავიგე სემ ფექინფას და მისი მართლაც გიჟური კინოს „ველური ბანდის“ შესახებ; ქართული ფილმი „ელიოსო“ ყურებაზე მახარაძემ მომანდომა თავისი „დიადი მუნჯით“ და ეგზარქოსი ნიკონის მკვლელობის ამბებიც მახარაძის და ხეცურნიანის საერთო წიგნი — „ტერორისტებში“ — ამოვიკითხე და არ ვიცი აკა მორჩილაძის ძველი ტფილისის ამბებზე გამოსული წიგნების და იმ დროის ბომბისტებზე მოთხრობილი გადაცემებისა თუ აკუნინის, ერასტ ფანდორინის, ძალიან კარგად დაწერილი, ისე რა დეტალები გახდა, მაგრამ თავადაც მოვიხსენიე იმ დროის სროლებიანი გამოძიების გამოგონება, საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოვჩნდი და ასე გადავანყედი „რევოლუციური მატიანე“, თხელ, ფურცლებზეაყვითლებულ ფურნალს, ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ რომ დაუწყია გამოვლად და ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლების ძველ ამბებს ჰყვებოდა. „ტერორისტები“ უკვე ნაკითხული მქონდა და მაგრად მწყებოდა გული ჩვენ კინოზე, რომელიც უფულოების გამო ვერ იღებდა სროლებიან ამბებს, დათიკო შევარდნაძით დაწვებული, აფრასიონ მერკვილაძით დამთავრებული! შენ ფული თქვი, თორემ, გადალება რომ შეგვეძლო, ამას „მაცი ხვიტიას“ საოცარი ჯირითი, „კოლხურ ბალადაში“ ტყვეების ზუზუნში სპარტაკ ბალაშვილის მშვიდად გაბოლებული ჩიზუხი და „ხარება და გოგას“ ბანდის ამოყვლეტვის საზარელი სიზუსტით გაცოცხლებული სცენაც ამტკიცებს.

მაგრამ „რევოლუციური მატიანეები“ კიდევ სხვა იყო, ეს მივიწყებული სიფრიფანა რვეულები ხომ იმ ადამიანების საოცარი ფათერაკებით იყო სავსე, რომელთა უმეტესობაზე არაფერი მსმენოდა აქამდე! მე ძალიან ცუდი მახსოვრობა მაქვს — ნაკითხული, ნახახი, მოსმენილი მალევე მაგინწყდება და არც ამ „მატიანეებიდან“ გამოწყვეა ბევრი რამ. მახსოვს, რომ უფრო ნეკროლოგებივით რაღაცა იყო და მხოლოდ მკვდრებზე ჰყვებოდა. კომუნისტებს ხომ ძალიან უყვარდათ მტრის ან სულაც საკუთარი ხელით მოკლულების უცარი გაცოცხლება და ძეგლად ქცევა. საერთოდ ეგეთი ქვეყანა იყო, ირაკლი სურგულაძის ძალიან საინტერესო წიგნის ერთ-ერთ თავს რომ დავესესხო — „მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების!“ დასჭირდებოდათ ახალი გმირი? ამოთხრიდნენ ისტორიის საერთო საფლავიდან ვინმეს, სურვილისამებრ გამოაწყობდნენ და საზეიმოდ მთატარებდნენ ქვეყანას. ცოცხალი შიშით ვერ მოედევებოდა, მკვდრები კიდევ, როგორც ვიცით, „არ იკბინებიან!“

ბა არჩია. ამბობდნენ, ავლაბრის საიდუმლო სტამბა მაგან გასცაო.

რევოლუციამ თათუზოვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და ეგ თათუზოვმაც შეიტყო — თბილისი ყოველთვის თბილისი იყო. შეიტყო და შიშით გაღვსილი, ისედაც საშიში და ფრთხილი, მთლად კატასავით გახდა. მაგრამ ერთ ღამეს ნიკოლოზის ეკლესიასთან ვილაც უცნობმა, ტანდაბალმა, ქერა კაცმა ზურგში დაახალა ორი ტყვია, თათუზოვმა კი სიკვდილამდე ისლა მოასწრო, რევოლუციური დააძრო და გამვლელი სტუდენტი დაჭრა.

და თბილისი მამაცაშვილებზე ალაპარაკდა.

სამივე ძმა ტერორისტი და პარტიული დისციპლინის სასტიკი დამცველი ყოფილა. თბილისელი დურგლის შვილები — ვანო თამბაქოს ქარხნის მუშა იყო, გარსო — ენფინჯიანცის ქარხნის პაპიროსის მკეთებელი, გრიშა კი სამოქალაქო სკოლადამთავრებული ოცი წლის ბიჭი. თავის დროზე ძმები „ტურა“ მაისურაძის რაზმში ირიცხებოდნენ და კაჭრეთში ერთი-მეორის მიყოლებით ძარცვავდნენ საფოსტო ეტლებს.

ვანო უფრო პოლიტიკური ბრძოლისკენ იხრებოდა და იარაღს ერიდებოდა, თუმცა რაღაც საქმეზე ჩავარდა და რუსეთში გადასახლეს. სროლა გრიშას ჰყვარებია, მაგრამ ძმებში ყველაზე საშიში გარსო ყოფილა. თუ სხვა ტერორისტებს თავისი ამბებით ტრაბახი უყვარდათ — მე ეს მოვკალი, ეს კიდევ მეო, დაბალ, ქერათმიან და ქერაულვანიან გარსოს ჩადენილზე კრინტი არ დასცდებოდა. ძალიან ჩუმი კაცი იყო — უცნაური, სხვანაირი ხასიათის, იარაღს მთანმინდაზე მალავდა და რასაც იშოვიდა, სულ პარტიის გაჭირვებულ წევრებს ახმარდა. ყველაზე უკეთ მაგის ხასიათს ელისაბედის ქუჩის კუთხეში მომხდარი ამბავი ჰყვებოდა: ერთ გლეხს ფული დაჰკარგოდა, იქვე მდგომი ჯიბგირისთვის ხელი დაეკლო, რომელმაც ეტ-

ყობა, მართლა მოპარა ის ფული და გორდოვოვი ეხმო. გორდოვოვი ჯიბგირს გამოლაპარაკებოდა, მართლაც კაცად ეცნო და გაეშვა, გათამამებული ჯიბგირი მობრუნებულიყო და გლეხისთვის გინება დაეწყო, რა ცილა მნამებო! გარსო იქვე მდგარა. ჯიბგირი რომ აღარ გაჩერდა, მამაცაშვილი ცოტა ხნით გაქრა, მერე ისევ გამოჩნდა, რევოლუციური დააძრო და ორი გასროლით იქვე, კონკის რელსებზე, გაანვინა ჯიბგირი, იარაღი მშვიდად დატოვა ერქიაშვილის მწვანის დუქანში და გაუჩინარდაო.

მერე გარსოს უმცროს ძმას, გრიშას, თავის ამხანაგ ჩარკვიანთან ერთად, ერთი ოფიცრის, ტემინკოვის მოკვლა დაავალეს. ამით ესროლეს, ააცილეს და ორივე პოლიციამ აიყვანა. ჟანდარმმა იმნაძემ მეტეხის ციხის კართან ხელმეპყრულ ჩარკვიანს ხუთჯერ ესროლა, გრიშა მუხლებზე დააყენა, რევოლუციური მიაღო, სახსლეს გამოკრა, შემდეგ მოკლულებს ხელები გაუხსნა და თქვა: გარბოდნენ და იმად ვესროლეო. რამდენიმე თვეში კი გრიბოდოვის ქუჩაზე გარსომ იმნაძის ძმა მოკლა. ეს რომ უფროსმა იმნაძემ გაიგო, ცხედრის სახანავად ეტლით გაქანდა მიხეილის საავადმყოფოსკენ და ვორონცოვის ძეგლთან ყუმბარა მოხვდა, ჩასაფრებია გარსო. იმნაძის ხორცის ნაჭრებს ცოცხით ხვეტავდნენო.

მარტო დარჩენილ გარსოს კი ერთი ცალხელა შავრაზმელის, პიორიშკინის მოკვლა დაევალა. მატიანეში როგორც წერია, ეს პიორიშკინი მაგარი ილბლანი ვინმე იყო, ათჯერ მაინც ეცადნენ მის მოკლას — ხან აფეთქებდნენ, ხან ესროდნენ და სულ ცოცხალი გამოდიოდაო. ისე კი, როგორც ჩანს, ილბლთან ერთად თავის ამბავში მაგარი იყო, ვიტგენშტეინების მაქსიმოვივით, იმდენად, რომ ჩერქეზოვის ქუჩაზე გარსო მარტო კი არა, თავისი რაზმით დაეცა პიორიშკინს. სტუმრად მყოფმა პიორიშკინმა მაგია ამოატრიალა, ჩაიმალა და ტერორისტებს იქიდან აუტეხა სროლა თავისი ცალი ხელით. გარედან ორი ყუმბარა ესროლეს, ერთის ნახსლეტეში მაგადს შეელენა, მეორე კი, რომელიც, როგორც ამბობენ, ღამის ფეხებშია ჩაუგორა გარსომო — არ აფეთქდა. მართლა ილბლანი რა! სროლა გაიწვია, მივიდა ჟანდარმერიაც. გარსომ გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ ფეხში დაჭრეს, აიყვანეს და სიკვდილი მიუსაჯესო. და იჯდა თურმე მერე მეტეხის ციხეში დაბალი, ქერა ტერორისტი და ჩვეული უთქმელი სიმშვიდით მალავდა სიკვდილის შიშს.

სხვანაირად ჩუმ გარსოს სიკვდილიც სხვანაირი შეხვდა. რევოლუციონერებმა ერთ დღეს თბილისში სამი რუსი ოფიცერი მოკლეს და ქალაქის გაცეცხლებულმა უფროსობამ ყველა სიკვდილმისჯილის ვადაზე ადრე ჩამოხრჩობა ბრძანა. პიორიშკინი კი კიდევ კარგა ხანს ატრიალებდა რევოლუციის თავის ილბლან ყოჩად ხელში.

მართალია თუ ტყუილი მოთხრობილი ამ „მატიანეებში“, ამას ახლა დიდი ნიშნვნელობა არ აქვს, ისევე როგორც წიგნებზე მნიშვნელოვანია, არსებობდა თუ არა სინამდვილეში რობინ ჰუდი და არსენა მარბდელი, ისტორია ხომ ძირითადად მმართველის მოსაწონ მითიურ ქვიშას აყრის ყველას! არც მე მახსოვს, მართლა ისე იყო დასათურებული გარსოს ამბავი, როგორც ზემოთ დავწერე, თუ ნაკითხვის შემდეგ თვითონ დავასათურე ასე. მთავარი ისაა, რომ ეს მოკლედ მონათხრობი ჩუმი კაცის ამბავი, მაგარი ვესტერნის სიუჟეტია სამხრეთულ პატარა ქალაქში დატრიალებული და ასეთი ისტორიები ჩვენთან ძალიან ბევრია, ისევე, როგორც ბევრნი არიან გარსოს და პიორიშკინისნაირი ილბლანი თუ უილბლო, მაგრამ საოცრად საინტერესო, ოდესღაც ნამდვილი პერსონაჟები.

აი, როგორი დავინწყებული ამბები და დავინწყებული ადამიანები მაპოვნინა მახარაძის და ხეცურნიანის წიგნმა და, მგონი, ნესტორ კალანდარიშვილზეც პირველად „ტერორისტებიდან“ ან „რევოლუციური მატიანედან“ შევიტყვე, მაგრამ გურული თოვლისკაცის სიკვდილი სხვა ამბავია და იმაზე, როგორმე, სხვა დროს მოვყვები, თორემ იქიდან ვინმე სხვაზე მომიწევს გადასვლა, იქიდან კი — სხვაზე. რა დალევს მსროლულებს ჩვენი ნეკისტოლა ქვეყნის კინოდ ვერძეული ვესტერნების თვალუწვდენელ სასაფლაოზე?!





აირის მერდოკი შავი პრინცი



აირის მერდოკის რომანი „შავი პრინცი“ ქართულ ენაზე პირველად გასული წლის მიწურულს თამარ ლომიძემ თარგმნა და გამომცემლობა „დიოგენემ“ დასტამბა.

ცნობილი ბრიტანელი მწერლის შემოქმედების განხილვა/გადააზრება ქართულ სამეცნიერო წყაროებში იშვიათად თუ მომხდარა, რის მიზეზადაც სხვადასხვა ფაქტორი შეგვიძლია, მივიჩნიოთ: ერთ-ერთი — ენობრივი ბარიერი. კვლევის პერიოდში გამოჩნდა, რომ რომანის შესახებ დანერგილი რაიმე ნაშრომი/სამეცნიერო სტატია ძნელად თუ მოიძებნებოდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მაია ჩომახიძე, შეიძლება ითქვას, პირველია, ვინც მეცნიერულად შეეხო აირის მერდოკის შემოქმედებას და 2006 წელს დაწერა დისერტაცია: „პიროვნების გაუცხოების პრობლემა აირის მერდოკის შემოქმედებაში“. მოცემული ნაშრომის მიზანს მწერლის რომანებში პიროვნების გაუცხოებისა და მისი წინაპირობების კვლევა წარმოადგენდა.

ამასთან უნდა ვახსენოთ ეთერ შავრეშაიანის რეცენზია, რომელიც ელექტრონულ-ბილინგვურ სამეცნიერო ჟურნალ „სპეკალში“ დაიბეჭდა. „ხელოვნებისა და ხელოვნების არსი აირის მერდოკის რომანში შავი პრინცი“ — ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) ქართულენოვანი რეცენზიაა, რომელიც კონკრეტულად ერთი რომანის ანალიზს ეთმობა.

რაც შეეხება უცხოურ სამეცნიერო წყაროებს, აირის მერდოკის სახელი და გვარი ქართულ სამეცნიერო წყაროებთან შედარებით, უფრო ხშირადაა ნახსენები დასავლურ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში. მაგალითისთვის ბრიტანელი ფილოსოფოსის, პიტერ ლემარკის სტატია „სიმართლე და ხელოვნება აირის მერდოკის „შავ პრინციში“ და ჯილიან დულის სტატია „პირველ პირში თხრობა აირის მერდოკის რომანში „შავი პრინცი.“

აირის მერდოკი დაიბადა 1919 წლის 15 ივლისს ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში. 1938-1942 წლებში სწავლობდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1947-1948 წლებში კი სწავლა განაგრძო კემბრიჯის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე. სწავლის დასრულების შემდგომ ოქსფორდის უნივერსიტეტში ფილოსოფიაზე კითხულობდა ლექციებს.

აირის მერდოკი 26 რომანის ავტორია. მისი დებიუტი 1954 წელს შედგა რომანით — „ქსელის ქვეშ“ (რომანი 1998 წელს მე-20 საუკუნის ას საუკეთესო ინგლისურენოვანი რომანთა შორის მოხვდა). 1987 წელს მწერალს ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მიენიჭა. იგი ლაურეატია ბუკერის ლიტერატურული პრემიისა, რომლის ფინანსტიც ექვესჯერ იყო.

მწერალი ალცჰაიმერის დაავადებით, 1999 წლის 8 თებერვალს, ქალაქ ოქსფორდში გარდაიცვალა. მისი არქივი აიოვას უნივერსიტეტშია დაცული.

რაც შეეხება რომანის სიუჟეტს, მთავარი პერსონაჟი ბრედლი პირსონი შუახნის მამაკაცია, რომელსაც მასზე ბევრად ახალგაზრდა გოგონა უყვარდება. ეს სიყვარული მის ცხოვრებას რადიკალურად ცვლის და თავს დამტყდარი ამბები სწორედ ფრენსის მარლოს დამსახურებაა, რომელმაც ახალგაზრდული სილამაზით შეაყვარა მწერალს თავი.

# გურო დავითიძე რომანი უიღბლო სიყვარულზე

„მერდოკი ახერხებს და ნათლად წარმოგვიჩენს სიყვარულსა და ხელოვნებას შორის კავშირს. მან შექმნა სასიყვარულო რომანი და, თავის მხრივ, ეს სასიყვარულო თავგადასავალი ბოლოს ხელოვნების ნიმუშად, შედეგად იქცა. მერდოკს აშკარაა, სწამს, რომ სიყვარული მოტივაციას ბადებს ადამიანში. რისი მოტივაცია შეიძლება იყოს ეს? თუ არა იმისა, რომ ხელოვანს თვალი აუხილოს, დაანახოს ახალი სამყარო, სიმართლის გზა თავისუფლების საპოვნელად. ასეთი სიყვარული შესაძლებელია გახდეს შთაგონების წყაროც“ (შავრეშაიანი, 1).

ბრედლის მოტივაციის წყარო სიყვარულია, რომლისთვისაც ყველაფერს აკეთებს. „ყოველი ხელოვანი უიღბლო სიყვარულს ეძებდა, ხოლო უიღბლო სიყვარულს ეძებდა, ყოველთვის სურთ თავიანთი ისტორიების მოყოლა“ (მერდოკი 2019, 10). ეს რომანი სწორედ უიღბლო სიყვარულზეა დაწერილი, რომელიც ერთი მწერალი კაცის ისტორიას გვიყვება.

სანამ უშუალოდ მთხრობლის ეპისტემოლოგიური პროფილის კვლევაზე გადავიდოდე, საჭიროდ ჩავთვალე, ზოგადად მიმოვიხილო, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ნარატოლოგიას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში და სხვადასხვა მკვლევართა ნააზრევზე დაყრდნობით, გავცე პასუხი იმაზე, თუ რა არის ნარატოლოგია.

ჟერარდ შენეტი თავის ნაშრომში „ნარატოლოგიის დისკურსი“, ნარატოლოგიას, როგორც ფიქციურ ან რეალურ მოვლენათა თანმიმდევრობას ისე განმარტავს. ტერმინი ნარატოლოგია, ბულგარელმა ლიტერატურათმცოდნემ ცვეტან ტოდოროვმა პირველად 1969 წელს გამოიყენა, თუმცა თხრობითი ტექსტების კვლევა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო (ცაგარელი 2012, 1).

„თანამედროვე ნარატოლოგიის საფუძველია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თითოეული თხრობითი ტექსტი კონსტრუქციული შრომის შედეგია, თხრობის თეორიების ამოცანა კი ამ პროცესის კვლევაა. როგორც გამოყენებითი ლიტერატურათმცოდნეობითი დარგი, ნარატოლოგია აღწერითი მეთოდია, რომელიც ქმნის საფუძველს ლიტერატურული ტექსტების ინტერპრეტაციისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ნარატოლოგია ტექსტის აღწერის მეცნიერულად გამართული ინსტრუმენტია, რომელიც გვეხმარება თხრობითი ტექსტის ინტერპრეტაცია განვახორციელოთ ობიექტური დაკვირვების საფუძველზე“ (ცაგარელი 2012, 1-2).

გია ჯოხაძე საკუთარ ნაშრომში — „სათაურის სემიოტიკა ქართულ ისტორიულ ნარატოლოგიაში“ — საუბრობს ნარატოლოგიის მნიშვნელობაზე და წერს იმას, რომ ნარატოლოგიის ფარგლებში, იმის კვლევაა მნიშვნელოვანი, თუ როგორ მოხდა სხვადასხვა მოვლენა, და არა ის, თუ რა მოხდა სინამდვილეში (ჯოხაძე 2012, 12).

აქვე შეგვიძლია მოვიშველიოთ მეტინგლის მოსაზრება, რომელიც აღნიშნავს, რომ ნარატოლოგიის მხოლოდ შინაარსი არ არის მთავარი. ამაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ გადმოცემს ნარატორი სხვადასხვა ამბავს. მეტინგლი აღნიშნავს, რომ ნარატორი ნარატოლოგიის მკითხველის გულამდე აღწევს და დიდ ინტერესს იწვევს ნარატოლოგიაში (მეტინგლი 2002, 8).

მოკლედ რომ შევჯავმოთ: „ნარატოლოგია ტექსტის აღწერის მეცნიერულად გამართული ინსტრუმენტია, რომელიც გვეხმარება თხრობითი ტექსტის ინტერპრეტაცია განვახორციელოთ ობიექტური დაკვირვების საფუძველზე“ (ცაგარელი 2011, 2).

ტერმინი ფოკალიზაცია პირველად ჟერარდ შენეტმა 1972 წელს გამოიყენა (Niederhoff, 2011). ჟერარდ შენეტი ერთმანეთისაგან ასხვავებს კითხვებს „ვინ მოგვითხრობს?“ და „ვინ ხედავს?“, რადგან ინსტანცია, რომელიც მომხდარს აღიქვამს, ხშირად განსხვავდება ინსტანციისგან, რომელიც მომხდარს მოგვითხრობს (მაგალითად,

მთხრობელს შეუძლია, კრიტიკულად შეაფასოს მომხდარი ან ირონიული დამოკიდებულება გამოხატოს მონათხრობის მიმართ). პირველ მათგანს იგი მიაკუთვნებს ხმის ნარატოლოგიურ კატეგორიას, მეორეს კი — ფოკალიზაციის კატეგორიას (ცაგარელი 2012, 26).

თუა თალაკვაძე სადისერტაციო ნაშრომში „90-იანი წლების გარდატეხა აკა მორჩილას ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების ინგლო შულცეს Simple stories-ისა და ვიქტორ პელეგინის მწერების ცხოვრების შედარებით ანალიზის მიხედვით“ — ფოკალიზაციის სამ სახესხვაობაზე მსჯელობს: 1. ნულოვანი ფოკალიზაცია — მთხრობელი უფრო მეტს გვიამბობს, ვიდრე რომელიმე მოქმედმა პირმა იცის. მისი აღქმის უნარი და ცოდნა შეუზღუდავია; 2. შიგა ფოკალიზაცია — მთხრობელი იმდენივეს გვიამბობს, რამდენიც მოქმედმა პირმა იცის. განიჩევა შიგა ფოკალიზაციის სამი ვარიანტი: ფიქსირებული, ცვალებადი და მრავალჯერადი; 3. გარე ფოკალიზაცია — მთხრობელი უფრო ნაკლებს გვიამბობს, ვიდრე რომელიმე მოქმედმა პირმა იცის. მხოლოდ ის გადმოცემა, რაც ჩანს — მოქმედ პირთა ფიქრები და გრძობები დაფარულია“ (თალაკვაძე 2012, 5).

მულტიპერსპექტიული თხრობა ერთი ამბის სხვადასხვა პერსონაჟის თვალით დანახვას გულისხმობს. „მულტიპერსპექტიულია ყველა ნაწარმოები, რომელშიც მთხრობლის ანდა ფოკალიზაციის ტიპის ცვლა იჩენს თავს (მაგალითად, კოლაჟური ტექსტები), რის შედეგადაც ერთი და იგივე მოვლენა მრავალი პერსპექტივიდანაა გადმოცემული“ (ცაგარელი 2012, 28).

მულტიპერსპექტიული თხრობის საილუსტრაციოდ ეპისტოლური რომანები შეგვიძლია გავიხსენოთ, სადაც შესაძლებელია იმის დანახვა, თუ როგორ შეიძლება ერთი და იგივე მოვლენა, განსხვავებულად ნახონ სხვადასხვა პერსონაჟებმა“ (Hartner, 2012).

თუა თალაკვაძე მულტიპერსპექტიული თხრობის სამ ძირითად ტიპზე ამახვილებს ყურადღებას ნიუნიგის ნაშრომზე „Multiperspektivisches Erzählen“ — დაყრდნობით. პირველია, როდესაც მულტიპერსპექტიული თხრობითი პერსპექტივა, ისეთ ნაწარმოებებშია გამოყენებული, სადაც ორი ან ორზე მეტი სათხრობი ინსტანციის მიერ ხორციელდება თხრობა. მეორე ტიპს განეკუთვნება ტექსტები, სადაც მოვლენის

გადმოცემა ორი ან ორზე მეტი რეფლექტიური ფიგურის პოზიციიდან ხორციელდება. მესამე ტიპს კი განეკუთვნება ნაწარმოებები, სადაც მონტაჟისა და კოლაჟის კომბინაციით ხდება მომხდარის დალაგება (თალაკვაძე: 2012, 8).

აირის მერდოკის რომანში შიგა ფოკალიზაციასთან გვაქვს და მთხრობლის პროფილი ამ რაკურსით უნდა განვიხილოთ.

რომანი გამომცემლის წინათქმით იწვევა: „წინამდებარე წიგნი, გარკვეული თვალსაზრისით, ჩემი წყალობით გამომცემდა. წიგნის ავტორმა, ჩემმა მეგობარმა ბრედლი პირსონმა მთხოვა, მეზრუნა თავისი თხზულების გამოცემაზე“ (მერდოკი, 2019, 9). გამომცემელი მთავარი პერსონაჟის მეგობარია, რომელიც წინათქმაში მსჯელობს რომანის შესახებ და ამბობს: „ეს თხზულება თავისი არსით (და ფორმალურადაც) სიყვარულის ისტორიაა. ადამიანის შემოქმედებითი მცდელობები, მის მიერ სიბრძნისა და ქვეყნარტის ძებნა — სიყვარულის ისტორიაა“ (მერდოკი 2019, 9). შესაბამისად, პირველი მთხრობელი, რომელიც რომანში გვხვდება, სწორედ გამომცემელია, რომელიც აღნიშნული რომანის შესახებ არა მხოლოდ თავში, არამედ რომანის დასრულების შემდეგაც მსჯელობს: „როდესაც ამ მასალებს თავი მოვუყარე“, — წერს ის და გულისხმობს მთავარი პროტაგონისტის, ბრედლი პირსონის ნაწერებს, რომელთა რედაქტირება თავის თავზე აიღო.

ამის შემდგომ, უკვე ბრედლი სპირსონის წინათქმა გვხვდება, რომელიც ტექსტის შექმნის წინაპირობებზე მსჯელობს, იხსენებს ნარსულს და საკუთარ თავს, როგორც მწერალს, ისე აფასებს.

მთელი რომანის განმავლობაში ბრედლი თავის ისტორიებს რეტროსპექტიულად გვიამბობს. მისი თავგადასავლები, ვნებები, ურთიერთობები სხვადასხვა ადამიანთან, მონოლოგები საკუთარ თავთან, ეს ყველაფერი მთავარი გმირის ცხოვრების ნაწილია.

ბრედლისთან ერთად, რომანში კიდევ ოთხი მოქმედი პირი გვხვდება: კრისტინა ჰარტბორნი, ფრენსის მარლო, რეიჩელ ბაფინი და ჯულიან ბელინგი. ბრედლის ყველა მათგანთან რაღაც აკავშირებს, ყველა მათგანთან რაღაც სახის ურთიერთობა ჰქონდა: იქნებოდა ეს სიყვარული, მეგობრობა თუ ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროება. შესაბამისად, რომანში ზემოთ ჩამოთვლილთაგან, ყველას ბრედლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი თუ არა, რაღაც ადგილი მაინც ეკავა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბრედლი მუდმივად განიცდიდა მათ საჭიროებას თავის ცხოვრებაში.







# გურო დავითლიძე რომანი უიღბლო სიყვარულზე

დასასრული

როდესაც მთხრობლის ეპისტემოლოგიურ პროფილზე ვმსჯელობთ, უფრო კონკრეტულად კი შიგა ფოკალიზაციაზე, აღნიშნული რომანის ფარგლებში, შიგა ფოკალიზაციის მეორე, ცვალებადი ვარიანტი უნდა მოვიშველიოთ, „რაც ერთი ამბის, ჯერ ერთი, შემდეგ მეორე და ა.შ. მოქმედი პირის თვალთ დანახვას გულისხმობს“ (ცაგარელი 2012, 26). ამასთან, გასათვალისწინებელია მულტიპერსპექტიული თხრობის პირველი ტიპი, როდესაც ორი ან ორზე მეტი სათხრობი ინსტანციის მიერ ხორციელდება თხრობა.

რომანი სამი ნაწილისაგან შედგება, სადაც მთხრობელი ბრედლი სპირსონია. თხრობის დასრულების შემდეგ კი რომანში კიდევ ოთხი მთხრობელი ჩნდება ბოლოთქმის სახით. სწორედ მათი ნარატივი გულისხმობს ცვალებადობას, რაც გამოიხატება შემდეგში:

თითოეული მათგანი ბრედლისთან ურთიერთობის დეტალებს რიგრიგობით იხსენებს, მსჯელობს ბრედლიზე და საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ბრედლის ქცევებსა თუ ქმედებებზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი ყველაზე ამბებს, რომელი ამბებიც ჩვენ უკვე ბრედლის თვალთ/ნარატივით ვიცით.

ერთ-ერთი მოქმედი პირი კრისტიანი წერს: „მოჩვენებითი სიძულვილი ბრედლის იმიტომ დასჭირდა, რომ ის მივატოვე (რაზეც წიგნში არაფერია ნათქვამი) და ცრუობს, თითქოს თვითონ მიმატოვა“ (მერდოკი 2019, 498). ის ფაქტი, რომ კრისტიანმა ბრედლი მიატოვა, ჩვენთვის ცნობილია, რადგან ბრედლი ამ თემასთან დაკავშირებით ფსიქოლოგ ფრენსის მარლოსთან ხშირად საუბრობს.

შემდეგი მოქმედი პირი სწორედ ფრენსის მარლოა, რომელიც ბოლოთქმამი ბრედლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მსჯელობს.


რეიჩელი ბოლოთქმამი წერს: „ნამდვილად არ მინდა, გულცივობა და სისასტიკე გამოვიჩინო. ამ წარმოუდგენელი ტრაგედიის ირგვლივ ატეხილი ხმაური ძალზე მტკენს გულს“ (მერდოკი 2019, 509).

ბოლოს კი, მოქმედი პირებიდან, ჯულიანის ბოლოთქმას ვხვდებით, რომელიც ბრედლისთან ურთიერთობის დეტალებს იხსენებს/მსჯელობს და ბრედლის მიერ დანერგულ ამბებს თავისებურ ინტერპრეტაციებს უკეთებს. ხანდახან კი ისე ასწორებს, როგორც მისი თქმით, სინამდვილეში იყო და არა ისე, როგორც ბრედლიმ დანერგა.

აირის მერდოკმა რომანში „შავი პრინცი“ ექვსი მთხრობელი შექმნა და ერთი ამბავი სხვადასხვა მოქმედი პირის პერსპექტივიდან მოგვიყვანა, რომელიც მულტიპერსპექტიული თხრობის ჩარჩოში ჯდება.

წინამდებარე სტატია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრიტანელი მწერლის, აირის მერდოკის, რომანს „შავ პრინცი“ დაეთმო. აღნიშნული სტატიის მიზანს მთხრობლის ეპისტემოლოგიური პროფილის კვლევა წარმოადგენდა.

კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ აირის მერდოკმა ფოკალიზაციის ერთ-ერთი სახესხვაობა, შიგა ფოკალიზაცია გამოიყენა და მულტიპერსპექტიული თხრობის პირველი ტიპის დახმარებით, ამბავი რამდენიმე მთხრობლის პერსპექტივიდან მოგვითხრო.



ანა ახმატოვა

## ბრძნულად ცხოვრების შევქმნილი სწავლა

ბრძნულად ცხოვრების შევქმნილი სწავლა, ღმრთისადმი ლოცვა აპყრობით ხელის, საღამოს სახეტიალოდ წასვლა, მოთოკვა არასაჭირო ღელვის.

როცა შრილებს ბირკავა ღელის, ტოტზე ცირცელი დანიყებს სხმარტალს, ხოტბას შევასხამ მხიარულ ლექსით წარმავალ ყოფას, ხრწნადასა და წარმტაცს.

შინ დაბრუნებულს ბამბურა კატა ნებს მილოკავს და გულს მიღობს კვრინვით და სამხერხაოს კომკურაჯ ტბასთან აკაშკაშდება დაისის ბრწყინვით.

როცა დროდადრო ატეხავს ბანზე ხმაურს იშხვარი ყაშყაშის იშტით, კარს ვერ გაგიღებ კაკუნის ხმაზე, არ მომესმება ბრახუნი ჭიშკრის.

## უკანასკნელი საღვთობა

ჭიქით დავლოცავ მოშლილ კერას, ჩემს სიბედკრულეს, რომ მარტობის გაგხდით წერა, ვერ მიერთგულე,

მაგ გულცივ მზერას, ბევრჯერ გამცემ შენს მზაკვარ ენას, სასტიკ სანუთროს, მის სიმკაცრეს, — ღვთის არ შენვენას!

## დამასაფლავე, დამკრძალე ქარო!..

დამასაფლავე, დამკრძალე ქარო! ნათესავეებმა ვერ შეძლეს მოსვლა, ცთომილი მწუხრი ჩემ მაღლა ხარობს, წყნარ მინის სუნთქვას ისევ ვგრძნობ ცხოვლად.

თავისუფალი ვიყავ შენდარი, სიცოცხლე ქვეყნად ძალიან მსურდა, ხედავ, გაცივდა ჩემი ცხედარი, არვინ დამიკრუფს ხელებს, არც მსუდრავს!

დაფარე ჩემი ჭრილობის დალი საღამოს ბინდის გაღამუნებით და აიძულე ცისფერი ჯანლი, რომ მიგალობოს მკვდარს ფსალმუნები!

უკანასკნელად წვეული ძილით რომ მინიერი ყოფა დასრულდეს; აახმიანე მაღალი ისლი, თქვას გაზაფხულზე, ჩემს გაზაფხულზე!

## ტკბილი სუნი ასდის ყურძნის მტევნებს

ტკბილი სუნი ასდის ყურძნის მტევნებს, სიშორეა გამთანგავი, მთრობი, უხალისო, ხშულ ხმას დამადვენებ, აღარა ვარ ვინმეს თანამგრძობი.

მტევნებში ჩანს ქსელი აბლაბუდის, ვაზის ღერო ჯერ ნედლია, წვრილი, დასრიალებს ცაში ღრუბლის გუნდი, ვით ლუში ტბის ყინულების მწკრივი.

შუბისტარზე მზე დადგა და ცხელა, წასჩურჩულე ტალღას შენი ჭმუნვა, შეეცდებო შენს ნუგუმისცემას, ან ამბორით გამოხატავს ზრუნვას.

## სიყვარული მოტყუებით იპყრობს

სიყვარული მოტყუებით იპყრობს, უბრალო და უნესრიგო მღერით, უნაღვლობა სულ ახლახან იყო, არ გერია თმაში თეთრი ღეროც.

გილიმოდა სახლში, მინდვრად, ბაღში, საკუთრებად რადგან დაგიგულა, შენთვის ჩანდა, რომ იყავი ლალი და ცხოვრობდი მყუდროდ, თავისუფლად.

შეპყრობილი მისით, კაშკაშებდი და შესვამდი მოწოდებულ ბაღამს, უფრო მსხვილად კრთოდნენ ვარსკვლავები, სხვა სურნელი ასდიოდა ბაღას, შემოდგომის ბაღას.

## არ მსურს თავი გაგრძნობინო მშვიდად

არ მსურს თავი გაგრძნობინო მშვიდად და მწაღია სუსტი ვჩანდე მძლავრიც, ჩემს სიყვარულს გინოდებდე მინდა, სხვანაირად მოგკვებობდი ჯავრით.

არანაკლებ ნახევარი საზრდოდ მსურს მოგპარო ზრუნვის, საფიქრალის და ვნატრულობ, უცებ გაიხზო, შენი ღებენა არის ჩემი ბრალი.

მსურს შენ იყო მხოლოდ მიჯნად მიზნის, შენთვის ვღვრიდე სიხარულის კურცხალს, მუდამ მთვლიდე საკითხავი წიგნის თავფურცლად და უკანასკნელ ფურცლად!

## რუსთვალება მევა

სასწარმკვეთო მწუხარებავ, დიდება შენდა! რუხთვალა მეფეს ნუხელ მისი მზე ჩაუსვენდა.

სთველის მიმწუხრის დახუთული ამინდი იდგა, როდესაც სახლში შემოსულმა ქმარმა თქვა მშვიდად:

„ნადირობიდან მოასვენეს გვამი მეუფის, მისი ცხედარი უპოვიათ ახლოს ბერმუხის.

შემებრალემა დედოფალი, ნორჩი ასერიგ!.. სულ ერთ ღამეში შეერია თმაში ნასერი!“

ბუხრის თაროდან ჩამოიღო ჩიბუხის ტარი და მოიხურა ღამის ცვლაში წასულმა კარი.

ჩემს მძინარ ასულს გავაღვიძებ დაუხანებლივ, მომნატრებია რადგან ცქერა რუხი თვალების.

შარიშურობენ დარაბების მიღმა ალვები: „დაგემშვიდობა შენი მეფე გარდაცვალებით...“

თარგმნა ოთარ ცისკაძე

ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ყურული  
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com  
ISSN 2346-7940  
9 772346 794004